პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

შაბათი
19 ოქტომბერი
1940 წ.
№ 244 (5945)
ფასი 10 კაპ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

## ბოლშევიკურად ვუხელმძღვანელოთ პარტიაში მიღებას

ბოლშევიკთა პარტია, ლენინ-სტალინის დიადი პარტია გარემოცულია მშრომელი მასების უღრმესი სიყვარულითა და უსაზღვრო ერთგულებით. იგი სარგებლობს ხალხის განუზომელი ნდობით, რადგან თავისი სახელოვანი ისტორიის მანძილზე მრავალგზის საქმით დაუმტკიცა ხალხს და მთელ მსოფლიოს გმირული თავდადება მუშათა კლასის საქმისადმი, მშრომელი ხალხის საქმისადმი, კომუნიზმის საქმისადმი.

ამიტომ არის, რომ მშრომელები მიისწრაფვიან საქ. კ. პ. (ბ) რიგებისაკენ, სთვლიან რა მას თავის მშობლიურ პარტიად. მაგრამ ბოლშევიკთა პარტია თავის რიგებში იღებს მხოლოდ უკეთესებს უკეთესთა შორის, რადგან, როგორც ამხანაგი **სტალინი** გვასწავლის, ყველას არ შეუძლია იყოს კომუნისტური პარტიის წევრი, ყველას არ შეუძლია აიტანოს ის გაჭირვება და ქარიშხალი, რომელიც დაკავშირებულია ასეთი პარტიის წევრობასთან. ჩვენი პარტიის რიგებში მიიღებიან მხოლოდ მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და საბჭოთა ინტელიგენციის მოწინავე ადამიანები, რომელთათვის არ არსებობს სხვა ინტერესი, გარდა ხალხის ინტერესებისა, კომუნიზმის გამარჯვების ინტერესებისა.

საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს პარტიის რიგების ზრდისათვის მოწინავე ადამიანების ხარჯზე. განსაკუთრებით გაძლიერდა პარტორგანიზაციების ზრდა XVIII პარტიული ყრილობის შემდეგ. მაგრამ ამასთანავე პარტიაში მიღების საქმეში ზოგგან ადგილი ჰქონდა დამახინჯებას. ცალკეული პირველადი პარტორგანიზაციები და რაიკომები გამოედევნენ პარტიის რიგების რაოდენობრივად გადიდებას, დაივიწყეს პარტიაში მისაღებთა მტკიცე ინდივიდუალური შერჩევის ბოლშევიკური პრინციპი.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა თავის დადგენილებაში სასტიკად გააკრიტიკა რაოდენობისადმი გამოდევნების მავნე პრაქტიკა, რასაც ადგილი ჰქონდა მთელ რიგ რესპუბლიკებსა და ოლქებში, და პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვა მტკიცედ დაიცვან პარტიის წესდება, ინდივიდუალური შერჩევით პარტიაში მიიღონ მხოლოდ მოწინავე, მუშაობაში შემოწმებული, ბოლშევიკური პარტიის საქმისათვის თავდადებული ადამიანები.

საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოველდღიური ხელმძღვანელობით, სერიოზული მუშაობა ჩაატარეს საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მითითებათა განსახორციელებლად. ახლა უფრო გულდასმით იხილავენ პარტიაში მისაღებთა თვითეულ განცხადებას, წინასწარ ამოწმებენ პარტიაში შესვლის თვითეულ მსურველს. თუ წინათ თვითეულ ბიუროზე იხილავდნენ პარტიაში მისაღებთა 20-30 და მეტ განცხადებას, ახლა იხილავენ 8-10-12 განცხადებას, გულდასმით მსჯელობენ თვითეული ამხანაგის გარშემო. ასევე შესამჩნევად გააუმჯობესეს მუშაობა პირველადმა პარტორგანიზაციებმაც.

მაგრამ ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ პარტიაში მიღების საქმეში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებანი, რომელთა აღმოსაფხვრელად უნდა დავრაზმოთ პარტიულ ორგანიზაციათა მთელი ყურადღება.

ცალკეული პარტორგანიზაციები ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ პარტიაში მისაღებთა ყოველმხრივ შესწავლას, მათს გულდასმით შერჩევას. გოგირდის აბანოების (თბილისი, კიროვის რაიონი) პარტორგანიზაციამ შარშან ორჯერ მიიღო პარტკანდიდატად ვალი ჰუსეინ-ოღლი ჰუსეინოვი, რომელიც პარტიიდან იყო გარიცხული, როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული. ჰუსეინოვს რაიკომმა ორჯერ უთხრა უარი პარტიაში მიღებაზე. მიუხედავად ამისა, გოგირდის აბანოს პარტორგანიზაციამ წელს კვლავ მიიღო ჰუსეინოვი პარტკანდიდატად. ასეთივე უდარდელობა გამოიჩინა სოფ. ფარცხანაყანევის (წყალტუბოს რაიონი) საკოლმეურნეო პარტორგანიზაციამ, როცა პარტიაში მიიღო ა. ხ., რომელიც სისტემატურად ლოთობს.

უნდა აღინიშნოს ცალკეული კომუნისტების უპასუხისმგებლობა, რასაც ისინი იჩენენ რეკომენდაციების მიცემის დროს. კომუნისტებმა რ. არაქელოვმა და ა. ლევინამ (თბილისის ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკა) რეკომენდაცია მისცეს პარტიაში მისაღებად ვ. სკლიაროვს და ო. ერგარდტს. ორივე რეკომენდებული შეუფერებელი აღმოჩნდნენ პარტიისათვის. სკლიაროვი თვითნებურად არის წასული კოლმეურნეობიდან, კომკავშირიდან გარიცხულია, საზოგადოებრივ მუშაობაში არ მონაწილეობს. არც ო. ერგარდტი გამოირჩევა აქტიურობით როგორც საზოგადოებრივ მუშაობაში, ისე წარმოებაში.

ასევე უპასუხისმგებლოდ მოიქცნენ კომუნისტები ხ. ხასან-ოღლი და ხ. ალიევი (ბათუმის რაიონი). მათ რეკომენდაცია მისცეს პარტიაში მისაღებად ა. ჩ-ს, რომელსაც 1938 წელს სასამართლომ წელიწადნახევრის პატიმრობა მიუსაჯა.

პარტიულმა ორგანიზაციებმა სერიოზული მუშაობა უნდა ჩაატარონ, რათა აამაღლონ კომუნისტთა პასუხისმგებლობა პარტიის წინაშე. იმ ამხანაგების საქციელი, რომელნიც უდარდელობას იჩენენ და პარტიაში მისაღებად რეკომენდაციას აძლევენ შეუფერებელ ადამიანებს, უნდა განიხილონ სათანადო პარტორგანიზაციებმა.

პარტიაში მიღების ერთერთი სერიოზული ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ ჯერ კიდევ საკმაო ყურადღება არ ექცევა პარტიის რიგებში წამყვანი პროფესიების მუშაკთა მიღებას. გასულ სამ თვეში ქ. თბილისის პარტორგანიზაციების მიერ პარტკანდიდატად მიღებულთა შორის (მიღებულია 441 კაცი) წამყვან პროფესიათა მუშებია—62 კაცი, რაც კანდიდატად მიღებულთა მხოლოდ 14.1 პროცენტს შეადგენს. პირველად პარტორგანიზაციებს, რაიკომებსა და ქალაქკომებს უნდა ახსოვდეთ, რომ ისინი „... ვალდებული არიან ისეთი ანგარიშით მოაწესრიგონ პარტიული ორგანიზაციის ზრდა, რომ პარტიაში მიღებულ იქნან ძირითადად წამყვანი პროფესიათა მუშები, საუკეთესო კოლმეურნენი და კოლმეურნე-ქალები და საბჭოთა ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენელნი“ (ქ. ჩარკვიანი) და გულმოდგინედ იმუშაონ ამ ამოცანის გადასაჭრელად.

პარტიული ორგანიზაციები არ უნდა დაკმაყოფილდნენ მარტო ახალ წევრთა და კანდიდატთა მიღებით, არამედ სისტემატურად უნდა იზრუნონ მათი ბოლშევიკურად აღზრდისათვის, გამოაწრთონ ისინი პრაქტიკულ საქმიანობაში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პარტკანდიდატებთან მუშაობას. კანდიდატები ფართოდ უნდა ჩააბან პრაქტიკულ პარტიულ და საზოგადოებრივ მუშაობაში, მისცენ მათ პარტიული დავალებანი, დაეხმარონ შესრულებაში.

საკანდიდატო სტაჟის მნიშვნელობა მთლიანად უნდა იქნას აღდგენილი. საკანდიდატო სტაჟი პარტიაში შემოსვლის მსურველის სერიოზული შემოწმების პერიოდია. ამ პერიოდში პარტორგანიზაციებმა პრაქტიკულ სამუშაოზე უნდა შეამოწმონ კანდიდატის პოლიტიკური და საქმიანი თვისებანი, მისი უნარი დასძლიოს ყოველგვარი სიძნელენი მუშაობაში, ბოლომდე მიიყვანოს დავალებული საქმე. კანდიდატებმა საქმით უნდა უჩვენონ პარტიას, რომ ისინი ღირსნი არიან ატარონ ლენინ-სტალინის პარტიის წევრის საპატიო სახელი.

## კონკურსი საუკეთესო პიესაზე

საუკეთესო პიესაზე გამოცხადებული საკავშირო კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტმა და ჟიურიმ გაერთიანებულ სხდომაზე მოისმინეს მოხსენება ცალკე რესპუბლიკებში პირველი ტურის მიმდინარეობის შესახებ.

რუსეთის სფსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს თეატრთა განყოფილების უფროსმა ამხ. რალფმა სხდომას აცნობა, რომ რესპუბლიკურ კონკურსზე შემოტანილია 918 პიესა. გარდა ამისა, პიესები მოდის ავტონომიური ნაციონალური რესპუბლიკებიდან, სადაც ადგილობრივი წინასწარი ტური ჩატარდა. მიღებულ პიესათა რეცენზირება მთავრდება. საუკეთესო პიესები განსახილველად გადაეცემა ჟიურის, რომელიც მუშაობას იწყებს უახლოეს დღეებში. ცალკე აღრიცხულია დამწყებ დრამატურგთა 100-მდე პიესა. ეს პიესები თავისი დრამატურგიული ღირსებით არ შეიძლება წამოვაყენოთ ჯილდოების მოსაპოვებლად, მაგრამ ისინი მოწმობენ ავტორთა უეჭველ ნიჭს. ამ პიესების ერთი ნაწილი განზრახულია გადაეცეს ცალკეულ თეატრებს ახალგაზრდა დრამატურგებთან მუშაობისათვის.

სხდომამ მოისმინა აგრეთვე მოხსენება კონკურსის მიმდინარეობის შესახებ საქართველოსა და სომხეთში. საქართველოში კონკურსზე შემოსულია 120 პიესა. ამ პიესების უმრავლესობა დაწერილია ისტორიულ - რევოლუციურ თემებზე. ბევრია ისტორიული და ყოფაცხოვრებითი პიესა. სომხეთში კონკურსზე შემოსულია 68 პიესა.

ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში მუშაობას იწყებენ ჟიურები, რომელთა შემადგენლობაშიც არიან თეატრისა და დრამატურგიის თვალსაჩინო ოსტატები, თეატრალური კრიტიკოსები და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. ჟიურებმა პიესების განხილვა უნდა დაამთავრონ ნოემბრისათვის და საუკეთესო ნაწარმოებნი წარადგინონ კონკურსის მეორე ტურისათვის. აქ პიესებს განიხილავს საკავშირო ჟიური, რომელსაც სსრ კავშირის სახალხო არტისტი მოსკვინი მეთაურობს. (საკდესი).

## ქინეტი — საბჭოთა ქინაქინა

მალარიასთან ბრძოლაში ექიმები დიდი ხანია იყენებენ ქინაქინას. ეს პრეპარატი ქინაქინის ხის ქერქისაგან მზადდება. ამ ხის სამშობლოდ ითვლება სამხრეთი ამერიკა. ქინაქინის ხე იზრდება კორდილიერის მთების კალთებზე 800-3.000 მეტრ სიმაღლეზე. ეს ართულებს პრეპარატის მიღებას და მეტად აძვირებს მას.

უკანასკნელ წლებში საბჭოთა მეცნიერებმა წარმატებით აითვისეს ეს კულტურა სსრ კავშირის ფარგლებში. მათ შესძლეს მრავალწლოვანი ქინაქინის ხის გადაქცევა ერთწლიან მცენარედ. შემდგომ ექსპერიმენტებს შედეგად მოჰყვა შესანიშნავი აღმოჩენა — სინთეზირებულ იქნა ახალი საბჭოთა სამკურნალო პრეპარატი — აკრიქინი. სსრ კავშირსა და სხვა ქვეყნებში წარმოებულმა გამოკვლევამ ცხადჰყო, რომ აკრიქინი მალარიის მკურნალობისას თავისი მოქმედებით სავსებით ინენტიურია ქინაქინისა. გარდა ამისა, მას პროფილაქტიკური თვისებებიც აქვს.

მეცნიერები ამაზე როდი შეჩერდნენ. მალარიასთან ბრძოლის მეთოდების შესწავლას შედეგად მოჰყვა ახალი აღმოჩენა. ქინაქინის ხის ერთწლიანი კულტურიდან ალკოლოიდის დამზადებისას მიღებულ იქნა სამკურნალო პრეპარატი, რომელსაც ქინეტი უწოდეს. იგი გამოსცადეს მალარიისა და ტროპიკულ დაავადებათა ცენტრალურ ინსტიტუტში და სპეციალისტებმა მაღალი შეფასება მისცეს. ქინეტს ისეთივე თერაპევტული თვისებები აქვს, როგორიც საიმპორტო ქინაქინას. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ექნება ქინეტს მალარიით დაავადებულთა იმ კატეგორიისათვის, რომელთაც აკრიქინით მკურნალობა არ შველის.

მაშინ, როცა ქინაქინას მხოლოდ ქინაქინის ხის ქერქისაგან ამზადებენ, ახალი საბჭოთა სამკურნალო პრეპარატის — ქინეტის დამზადება მთელი მცენარისაგან შეიძლება. (საკდესი).

## მოსკოვის პარტიული ორგანიზაციის მომხსენებელთა და პროპაგანდისტთა კრება

17 ოქტომბერს საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის პლენუმის დარბაზში შესდგა მოსკოვის პარტიული ორგანიზაციის მომხსენებელთა, აგიტატორთა და პროპაგანდისტთა საინსტრუქციო კრება. დაესწრნენ აგრეთვე რაიონული და პირველადი პარტორგანიზაციების მდივნები, საბჭოთა, კომკავშირული და პროფკავშირული მუშაკები—სულ 900 კაცი.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXIII წლისთავის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. დ. ზ. მანუილსკიმ, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

ამხ. მანუილსკის მოხსენება რადიოთი გადაცემულ იქნა ქ. მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის ყველა რაიკომში, აგრეთვე დედაქალაქის უდიდეს საწარმოებში. (საკდესი).

## საუკეთესო საზოგადოებრივ მუშაკებს საარჩევნო კომისიების წევრებად ასახელებენ

**ბარანოვიჩი,** 17 ოქტომბერი (საკდესი). ლიახოვიჩის რაიონის სტალინის სახელობის არტელის კოლმეურნეთა კრებამ ერთსულოვნად გადასწყვიტა, რაიონულ საარჩევნო კომისიაში გაგზავნოს კომკავშირელი - ქალი ამხ. ვაიტული. კოლმეურნეების სიტყვით, იგი საუკეთესო სტახანოველია, რომელიც მუშაობისადმი ბოლშევიკური დამოკიდებულების მაგალითს იძლევა.

რაიონულ საარჩევნო კომისიაში დასახელებული არიან აგრეთვე კოლმეურნეობა „პობედის“ წევრები ამხანაგები იაკუბეცი და მახლიარი, ლიახოვიჩის საშუალო სკოლის მასწავლებელი სოფიო კოჩენგინსკაია, აქტიური საზოგადოებრივი მუშაკი, — დიასახლისი ოლღა პეტკო და სხვები.

**ვილეიკა,** 17 ოქტომბერი (საკდესი). 300 ამომრჩეველზე მეტი დაესწრო სოფელ ბარნიანში გამართულ კრებას. სოფლის აქტივის სახელით გლეხმა მარიამ სენიუკმა წინადადება შეიტანა სოფლის საარჩევნო კომისიის წევრად დაესახელებინათ დურგალთა არტელის საუკეთესო სტახანოველი ამხ. რუსეცკი. კრებამ ერთხმად დაუჭირა მხარი ამხ. სენიუკის წინადადებას.

ვოროშილოვის სახელობის არტელის კოლმეურნეებმა სოფლის საარჩევნო კომისიის წევრად გაგზავნეს მეღორეობის ფერმის გამგე იანინა შუმანეცი. სოფელ კარველის გლეხებმა თავიანთ წარმომადგენლად სოფლის საარჩევნო კომისიაში დაასახელეს ამხ. მიხალოვი, რომელიც სსრ კავშირისა და ბელორუსიის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოების დეპუტატთა არჩევნების დროს საუბნო კომისიის თავმჯდომარე იყო.

## ესტონეთის მშრომელ გლეხობას მიწა ეძლევა

**ტალინი,** 17 ოქტომბერი (საკდესი). გაჭირვებული და ბნელით მოცული იყო ესტონეთის მშრომელი გლეხობის ცხოვრება. ათასნაირი გადასახადების გამო განადგურებულ მეურნეობათა რიცხვი ყოველწლიურად მატულობდა. 194- წლის 1 ივნისისათვის გლეხობის ვალი 142,4 მილიონ კრონს შეადგენდა. ყველაზე დიდი იყო იმ გლეხების დავალიანება, რომელთაც 1-5 ჰექტარამდე მიწა ჰქონდათ. მარტო 1938 წელს საჯაროდ გაიყიდა 1344 გლეხის მეურნეობა.

საბჭოთა ხელისუფლებამ ესტონეთის მშრომელ გლეხობას მოუტანა მემამულეთა და კულაკთა ჩაგვრისაგან განთავისუფლება. მიწა საერთო სახალხო კუთვნილება გახდა. ამჟამად მთელს რესპუბლიკაში გაჩაღებულია მუშაობა, რომ მცირემიწიან და უმიწაწყლო გლეხებს მიწის ნაკვეთები მიეცეთ. სახელმწიფო მიწის ფონდი, რომელიც გლეხებს შორის უნდა განაწილდეს, 642 ათას ჰექტარს შეადგენს.

ვინ იღებს მიწას?

სუუესის თემის ესმიაესის აგარაკის რაიონში მიწის ფონდი შექმნილია 170 ჰექტარის რაოდენობით. აქ ერთერთმა პირველმა მიწა მიიღო კივილაიდის ოჯახმა, რომელიც 11 კაცისაგან შესდგება. დღემდე კივილაიდს... 0,1 ჰექტარი მიწის ნაკვეთი ჰქონდა. ახლა მას მისცეს 7,4 ჰექტარი კარგი საყანე მიწა, 1,3 ჰექტარი საბალახო და 3,4 ჰექტარი სათიბი. ბოლო მოეღო სხვის კარად წანწალს. ბოლო მოეღო განუწყვეტელ შიშს ხვალინდელი დღის გამო.

გლეხს პავლე პუკს დღემდე მიწა სულაც არა ჰქონია, მისი ოჯახი კი ექვსი კაცისაგან შესდგება. პავლე პუკის სურვილი მიწათმოწყობმა კომისიამ დააკმაყოფილა—მან 6 ჰექტარი მიწა მიიღო. ესტონეთის სოფლები აღფრთოვანებული არიან.

## უკანასკნელი ცნობები

## ინგლის-გერმანიის ომი

### გერმანიის ცნობები

**ბერლინი,** 18 ოქტომბერი (საკდესი). გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობა იუწყება:

„ბრისტოლის ყურის გამოსასვლელთან ბრძოლა მოხდა გერმანიის საესკადრო ნაღმოსნებსა და ინგლისის კრეისერებს შორის, რომლებსაც თან ახლდნენ საესკადრო ნაღმოსნები. ინგლისის გემს ერთი ტორპედო მოხვდა. ამის შემდეგ მოწინააღმდეგემ ბრძოლა შესწყვიტა. გერმანიის საესკადრო ნაღმოსნები დაუზიანებლად დაბრუნდნენ თავიანთ ბაზებში.

გერმანიის ერთმა წყალქვეშა ნავმა უკანასკნელი რეიდის დროს ჩასძირა მტრის 42 ათასი ტონა საერთო წყალწყვის გემები.

მსუბუქ ყუმბარმშენთა ესკადრილიები კვლავ დაესხნენ თავს ლონდონს და სამხრეთ - აღმოსავლეთ ინგლისის ქალაქებს. მოსპობილია სამხედრო ობიექტები ლონდონის აღმოსავლეთ ნაწილში, ვიქტორიის დოკების მახლობლად და ტემზის ჩრდილოეთით მდებარე რაიონში.

გერმანიის სანაპირო ბატარიამ ჰავრთან სროლა აუტეხა მტრის წყალქვეშა ნავს. შემდეგ მოპიკირე ყუმბარმშენებმა იერიში მიიტანეს მასზე. მალე წყლის ზედაპირზე ნავის ნამსხვრევები გამოჩნდა.

გერმანიის სანაპირო არტილერიამ სროლა აუტეხა მტრის ტორპედიან კატარღებს, რომელნიც ცდილობდნენ ბელგიის სანაპიროს მოახლოვებოდნენ და იძულებული გახადა ისინი უკან გაბრუნებულიყვნენ.

შემდეგ გერმანიის სანაპირო არტილერიამ სროლა აუტეხა დუვრის ნავსადგურს, რომელშიც ინგლისის მრავალი გემი იმყოფებოდა. ღამით გერმანიის ავიაციამ ყუმბარა დაუშინა ლონდონის სამრეწველო ნაგებობებსა და დოკებს, აგრეთვე ლივერპულსა და ბირმინჰამს.

ინგლისის თვითმფრინავები გუშინ გერმანიის ტერიტორიაზე არ შემოფრენილან. საჰაერო ბრძოლების დროს გუშინ მტერმა 17 თვითმფრინავი დაჰკარგა. გერმანიის 7 თვითმფრინავი თავის ბაზებში არ დაბრუნებულა“.

**ბერლინი,** 18 ოქტომბერი. გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, რომ 17 ოქტომბერს, საღამოს და ღამით, ინგლისის ავიაცია რვაჯერ დაესხა თავს ლა-მანშის საფრანგეთის სანაპიროს. გერმანიის საზენიტო არტილერიამ მას ეფექტური სროლა აუტეხა. ინგლისის თვითმფრინავები ყუმბარების ჩამოუყრელად უკან გაბრუნდნენ.

**ბერლინი,** 18 ოქტომბერი. როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, ერთი კვირის განმავლობაში, 6-დან 12 ოქტომბრამდე, ინგლისის ავიაციამ დაჰკარგა 105 თვითმფრინავი და 143 პილოტი, გერმანიის ავიაციამ — 32 თვითმფრინავი და 61 პილოტი.

ლონდონის რადიო 13 ოქტომბერს იუწყებოდა, რომ 6-დან 13 ოქტომბრამდე ინგლისის ავიაციამ დაჰკარგა 43 თვითმფრინავი, ხოლო გერმანიისამ—66 თვითმფრინავი და რომ 26 ინგლისელი პილოტი გადარჩა. გერმანიის საავიაციო წრეებში ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ეს ცნობები სინამდვილეს არ შეეფერება (საკდესი).

### ინგლისის ცნობები

**ლონდონი,** 18 ოქტომბერი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ გუშინ მტერმა რამდენიმე იერიში მიიტანა ინგლისის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილის წინააღმდეგ. მხოლოდ რამდენიმე თვითმფრინავმა შესძლო ლონდონის რაიონში შემოჭრა. ბომბარდირებით გამოწვეული ზარალი და მსხვერპლის რაოდენობა უმნიშვნელოა. მცირეოდენი ზიანი არის ინგლისის სამხრეთ ნაწილის რამდენიმე პუნქტში. მოსპობილ იქნა მტრის 4 თვითმფრინავი. ინგლისის ავიაციამ 4 ავიაგამანადგურებელი დაჰკარგა.

17 ოქტომბერს ღამით მტრის თვითმფრინავების იერიშები კვლავ მომართული იყო უმთავრესად ლონდონის წინააღმდეგ. რამდენიმე ყუმბარა ჩამოგდებულ იქნა ცენტრალური ინგლისის ერთერთ ქალაქში და მდინარე მერსეის რაიონში. ლონდონსა და მის გარეუბნებში დანგრეულია რამდენიმე შენობა. ცენტრალური ინგლისის ერთერთ ქალაქში და მდინარე მერსეის რაიონში არიან მოკლულნი და დაჭრილნი. დაზიანებულია და ალაგ-ალაგ დანგრეულია საცხოვრებელი სახლები. გაჩენილი ხანძარი მალე ჩაქრობილ იქნა.

16 ოქტომბერს ღამით ინგლისის ავიაციამ ყუმბარა დაუშინა კილის დოკებს, სადაც ხანძარი გაჩნდა და აფეთქება მოხდა, აგრეთვე ჰამბურგის დოკებს, ჩვენი ავიაცია თავს დაესხა ლაინის სინთეზური ნავთის დიდ ქარხანას, რომელიც წინანდელი ბომბარდირებით მნიშვნელოვნად იყო დაზიანებული. ქარხანას ხანძარი გაუჩნდა. რამდენიმე ყუმბარა მოხვდა ლაინის მახლობლად არსებულ ელექტროსადგურსა და ქარხანას და ლაიფციგის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ორ ქარხანას. მნიშვნელოვნად იქნა დაზიანებული გერმანიის მიერ ოკუპირებული ბრესტის საზღვაო ბაზა (საფრანგეთი).

**ლონდონი,** 18 ოქტომბერი (საკდესი). გერმანიის თვითმფრინავები 16 ოქტომბერს ღამით კვლავ ჰყრიდნენ ფურცლებს ინგლისში.

## ინგლისის ავიაციის სამინისტროს კომუნიკე

**ლონდონი,** 18 ოქტომბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს ავიაციის სამინისტროს კომუნიკეს, რომელშიც ნათქვამია, რომ არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობების გამო, ინგლისის ყუმბარმშენმა ავიაციამ 17 ოქტომბერს ღამით თავი შეიკავა მტრის სამხედრო ობიექტების წინააღმდეგ ოპერაციებისაგან.

## საზღვაო ოპერაციები

**ლონდონი,** 17 ოქტომბერი (საკდესი). საზღვაო სამინისტრო იუწყება, რომ მიღებული ცნობებით, ინგლისის კრეისერი, რომელიც ხმელთაშუა ზღვაში ოპერაციების შესრულების შემდეგ თავის ბაზაში ბრუნდებოდა, ტორპედირებულ იქნა მტრის ნაღმოსანი თვითმფრინავის მიერ. კრეისერი დაზიანდა, მაგრამ მშვიდობით მიაღწია დანიშნულების ადგილს.

ამავე დროს საზღვაო სამინისტრო იუწყება, რომ ინგლისის სამხედრო-საზღვაო ძალებმა ჩასძირეს გერმანიის გემთა ქარავანი, რომელიც სამი სატვირთო ხომალდისა და ორი სამხედრო გემისაგან შესდგებოდა. გარდა ამისა, ტორპედირებულია გერმანიის გემი დაახლოებით 7 ათას სარეგისტრო ბრუტო-ტონა წყალწყვისა.

## ინგლის-იტალიის ომი

**ლონდონი,** 18 ოქტომბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ 15 ოქტომბერს ღამით ინგლისის ავიაციამ წარმატებით დაუშინა ყუმბარა ტობრუკს და ნავსადგურში მდგომ 3 გემს. ყუმბარა დაუშინეთ აგრეთვე ბარდიას და სოლუმთან არსებულ ფორტს.

ხმელთაშუა ზღვის რაიონში ინგლისის თვითმფრინავმა მოწინააღმდეგის მფრინავი ნავი დააზიანა.

მოწინააღმდეგის თვითმფრინავები 3-ჯერ დაესხნენ თავს რას ელ კანაისის რაიონს (მერსა-მატრუხის აღმოსავლეთით), რამაც ზარალი გამოიწვია. 16 ოქტომბერს ღამით მოწინააღმდეგის თვითმფრინავები ცდილობდნენ ყუმბარა დაეშინათ ალექსანდრიისათვის, მაგრამ ინგლისის ავიაგამანადგურებლების მიერ უკუქცეულ იქნენ.

**რომი,** 18 ოქტომბერი (საკდესი). იტალიის სარდლობა იუწყება:

„ჩრდილოეთ აფრიკაში ჩვენმა საჰაერო შენაერთებმა, ამინდის არახელსაყრელი პირობების მიუხედავად, განაახლეს წარმატებითი თავდასხმა ედ-დაბისა და მერსა-მატრუხის აეროდრომებზე. ყუმბარები დავაყარეთ ედ-დიკეილის აეროდრომს (ალექსანდრიის მახლობლად), მერსა-მატრუხსა და ედ-დაბას შორის არსებულ გზას, აგრეთვე მოწინააღმდეგის ავტობაზებსა და ავტოკოლონებს. ყველა ჩვენი თვითმფრინავი თავის ბაზებში დაბრუნდა.

აღმოსავლეთ აფრიკაში ჩვენმა თვითმფრინავებმა ყუმბარა დაუშინეს ადენის აეროპორტსა და საზღვაო ნავსადგურს, რამაც დიდი ხანძარი გამოიწვია. მოწინააღმდეგის ავიაციამ ყუმბარა დაუშინა ნეგელის (აბისინია) საცხოვრებელ სახლებს და უმნიშვნელო ზიანი მიაყენა“.

## ბირმა-ჩინეთის გზის გახსნა

**ნიუ-იორკი,** 18 ოქტომბერი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ 17 ოქტომბერს, ნაშუაღამევს პირველი სატვირთო მანქანა გაემგზავრა ბირმის გზით ჩინეთისაკენ. 2 საათის შემდეგ გავიდა სატვირთო მანქანების პირველი პარტია—60 მანქანა. როგორც აღნიშნავენ ინგლისს ეშინია, ვაი თუ იაპონიის ავიაციის მოქმედება ბირმაზე გავრცელდესო. ამიტომ 16 ოქტომბერს ღამით ლასიოში მიღებულ იქნა საჰაერო თავდაცვის ზომები.

## სამოქალაქო ურჩობის კამპანია ინდოეთში

**ნიუ-იორკი,** 18 ოქტომბერი (საკდესი). ინდოეთის ნაციონალურმა კონგრესმა 17 ოქტომბერს დაიწყო სამოქალაქო ურჩობის კამპანია. იუნაიტედ პრესის კორესპონდენტი ნაგპურიდან (ინდოეთი) იუწყება, რომ სოფელ პაუნარში შემდგარ მასობრივ მიტინგზე კონგრესის სახელით სიტყვა წარმოსთქვა ვინობამ. მან მოუწოდა არ დაეხმარონ ინგლისს ხალხითა და ფულით, ვინაიდან ინგლისმა ინდოეთს თავს მოახვია მეომარი მხარის მდგომარეობა, უარჰყო მოთხოვნა ნაციონალური მთავრობის შექმნისა და სიტყვის თავისუფლების ნებართვის შესახებ.

## ახალი პროჟექტორი გერმანიაში

**ბერლინი,** 17 ოქტომბერი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ გუშინღამ ჰოლანდიის სანაპიროზე გერმანიის იმ ახალი პროჟექტორის გამოცდის დროს, რომელიც არაჩვეულებრივი დიდი ძალის სხივებს უშვებს, ამ სხივებით დაბრმავებულ მტრის თვითმფრინავს გზა აებნა და ადვილად მოსპობილ იქნა.

ბურიატ-მონღოლეთის ხელოვნების დეკადა მოსკოვში. დეკადის მონაწილენი კომკავშირელები აგნია ჟიგეიტოვა (მარცხნივ) და მარიამ შალტიკოვა ასრულებენ ცეკვას ოპერაში „ენხე-ბულატ-ბატორ“.

(საკდესის ფოტო)

## წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება

## ორი ფაბრიკის სოციალისტური შეჯიბრება

თბილისის ტრიკოტაჟის კომბინატის ძაფსართავ ფაბრიკაში წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება გაჩაღებულია.

სტახანოველები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXIII წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის ემზადებიან. ფაბრიკამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულებით მოცემული შესაძლებლობა გამოიყენა და მნიშვნელოვან გაუმჯობესებას მიაღწია მუშაობაში. 15 ოქტომბრისათვის წლიური გეგმა ფაბრიკამ 94,2 პროცენტით შეასრულა.

ფაბრიკა პოლტავის ძაფსართავ ფაბრიკას ეჯიბრება. სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებით ფაბრიკის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა, რომ წლიურ გეგმას 10 პროცენტის გადამეტებით შეასრულებს.

შრომის მაღალი ნაყოფიერების მაგალითებს იძლევიან მრთველები ამხ. ლუკოვკინა, ალექსეენკო, ჰელიძე, რიჟოვა, კრასილნიკოვა და სხვები, რომლებიც გეგმას 110-120 პროცენტით ასრულებენ.

ნოემბერში ფაბრიკის სტახანოველთა დელეგაცია უკრაინას გაემგზავრება პოლტავის ძაფსართავ ფაბრიკასთან სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესაჯამებლად. (საქდესი).

## აგარის შაქრის ქარხნის მუშათა კოლექტივის ვალდებულებანი

**ქარელი** (საქდესი). ქარელის რაიონის საწარმოები ჩაებნენ წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში. აგარის შაქრის ქარხნის მუშათა კოლექტივმა იკისრა ოქტომბრის დღესასწაულისათვის გეგმის გადამეტებით გამოუშვას 8 ვაგონი შაქარი. საამქროები, ბრიგადები, ცვლები იბრძვიან ქარხნის შეუფერხებელი მუშაობისათვის, ვალდებულების შესასრულებლად. კარგად მუშაობს ინჟინერ ლომიძის ცვლა, რომელიც უკანასკნელ დღეებში შაქრის ჭარხლის გადამუშავების გეგმას 110 პროცენტით ასრულებს.

## ენგურქაღალდმშენში

ენგურქაღალდკომბინატში ჩატარდა ქარხნის მოწინავე სტახანოველთა შეკრება, რომელზეც განხილულ იქნა წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის საკითხები. შეკრებამ მიიღო მომართვა ფაბრიკის ყველა მუშის, ინჟინერ-ტექნიკოსისა და მოსამსახურისადმი — ჩაებან წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში, რათა უფრო განამტკიცონ შრომის დისციპლინა, აამაღლონ შრომის ნაყოფიერება, გააუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი, ფართოდ გაშალონ წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება, გადაჭარბებით შეასრულონ ოქტომბრის საწარმოო გეგმა. შეკრებაზე სიტყვით გამოსული მუშები ჩაებნენ შეჯიბრებაში და აიღეს ახალი საწარმოო ვალდებულებანი.

ფართოდ გაჩაღდა მუშაობა აღებულ ვალდებულებათა განაღდებისათვის. 7 ოქტომბერს ნედლეულის ბირჟის სტახანოველმა ამხ. ი. გოგიამ დავალება 400 პროცენტით შეასრულა და 100 მანეთი გამოიმუშავა, ასევე თავდადებულად მუშაობენ ს. გოგია, ბ. ლოგუა და სხვ. ნედლეულის ბირჟა მთელი წლის განმავლობაში ჩამორჩებოდა, ახლა კი ყოველდღიურ გეგმებს 250-300 პროცენტით ასრულებს.

## რიონჰესელების ვალდებულებანი

**ქუთაისი,** (საქდესი). რიონის სტალინის სახელობის ჰიდროელექტროსადგური მნიშვნელოვანი მიღწევებით ეგებება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXIII წლისთავს. ენერგიის გამომუშავების 9 თვის გეგმა გადამეტებით შესრულდა, აგრეგატების მიმდინარე შეკეთებისა — 151,2 პროც., ხოლო მშენებლობის — 106 პროც. საკუთარ საჭიროებაზე ენერგიის ხარჯვა 31,6 პროცენტით შემცირდა.

ამ მიღწევების განსამტკიცებლად რიონჰესელები წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ. ერთმანეთს ეჯიბრებიან ვახტები, სტახანოველები და ინჟინერ-ტექნიკოსები.

რიონჰესის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა 7 ნოემბრისათვის შეასრულოს ელექტროენერგიის გამომუშავების 11 თვის გეგმა.

## წლიურ გეგმას 7 ნოემბრისათვის ასრულებენ

(ლანჩხუთი, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

ლანჩხუთის სატრიკოტაჟო ფაბრიკის მუშა-მოსამსახურენი აქტიურად ჩაებნენ წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში, რომელიც საქსოვი საამქროს მუშებმა წამოიწყეს.

ფაბრიკის კოლექტივის საერთო კრებაზე, რომელიც მიეძღვნა წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში ჩაბმის საკითხს, აიღეს ვალდებულება,—დიადი ოქტომბრის 23 წლისთავს შეხვდნენ წლიური გეგმის ვადამდე შესრულებით. მუშებს შორის გაიშალა ინდივიდუალური შეჯიბრება.

ლანჩხუთის სატრიკოტაჟო ფაბრიკამ შეჯიბრებაში გამოიწვია სუფსის სატრიკოტაჟო ფაბრიკა.

## თესვის გეგმა შესრულებულია

**დუშეთი,** 18 ოქტომბერი (ტელეგრაფით). დუშეთის რაიონმა ვადაზე 7 დღით ადრე—18 ოქტომბრისათვის შეასრულა საშემოდგომო თავთავიანი კულტურების თესვის გეგმა. დათესილია სულ 5.245 ჰექტარი—გეგმის 100,8 პროცენტი.

თესვა გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) დუშეთის რაიკომის მდივანი **მიხანაშვილი**
რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **პაპაშვილი**

## ქობულეთის ჩაის ფაბრიკამ წლიური გეგმა შეასრულა

**ბათუმი,** (საქდესი). ქობულეთის ჩაის ფაბრიკამ შეასრულა ჩაის ფოთლის დამზადების წლიური გეგმა. სეზონის დაწყებიდან ფაბრიკამ მიიღო და გადაამუშავა 2.456.600 კგრ. ჩაის ფოთოლი, რაც წლიური გეგმის 100,1 პროც. უდრის. გამოშვებულია 512.394 კგრ. მზა ჩაი. უმაღლესი ხარისხის ჩაი გამოშვებულია 17.439 კგრ. პირველი ხარისხის ჩაის გამოშვების გეგმა შესრულებულია 103,2 პროც.

21 ოქტომბერს, საღამოს სრულ 9 საათზე საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებულ მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის სალექციო დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი № 33/35) პარტაქტივისათვის რუსულ ენაზე შესდგება ამხ. ვ. გრიგორიანის ლექცია:

„საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ“.

შესვლა მოსაწვევი ბილეთებით.
საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება.

## თამბაქოს შეტეხა კოლმეურნეობებში

საქართველოს კოლმეურნეობებში წელს გეგმით უნდა შეიტეხოს სულ 138 მილიონი ზონარმეტრი თამბაქო. საქმიწსახკომის ცნობით აქედან 15 ოქტომბრისათვის შეტეხილი იყო 114.857.237 ზონარმეტრი — დავალების 83,2 პროცენტი.

თამბაქოს შეტეხის გეგმა ამავე რიცხვისათვის შესრულებული ჰქონდათ: აფხაზეთის ასსრ-ს—73,3 პროცენტით, აჭარის ასსრ-ს — 131,3 პროცენტით, ზუგდიდის რაიონს — 100,7-ით, ჩოხატაურს —87,6-ით, გურჯაანს — 88,4-ით, სიღნაღს — 78,6-ით, წითელწყაროს—91-ით, ყვარელს—86,1-ით, ლაგოდეხს — 85,6-ით, ბორჩალოს —102,1-ით, ლუქსემბურგს—106,7 პროცენტით.

შარშანდელთან შედარებით წელს თამბაქოს შეტეხა ნელი ტემპით მიმდინარეობს. შარშან 15 ოქტომბრისათვის თამბაქოს შეტეხის წლიური გეგმა რესპუბლიკაში 103,5 პროცენტით იყო შესრულებული, შეტეხილი იყო სულ 122.603.042 ზონარმეტრი თამბაქო, 7.745.805 ზონარმეტრით მეტი, ვიდრე ამავე რიცხვისათვის წელს. უკანასკნელმა ხუთდღიურმა წლიური გეგმის შესრულებაში მხოლოდ 3,7 პროცენტის მატება მოგვცა.

## შაქრის ჭარხლის აღება და ჩაბარება

საქართველოს მიწსახკომის ცნობებით 15 ოქტომბრისათვის ხაშურის, ქარელის, გორის და კასპის რაიონებს 3.309 ჰექტარი ნათესიდან (სულ დათესილია 5.500 ჰექტარი) ამოღებული ჰქონდათ 361.910 ცენტნერი შაქრის ჭარხალი, რაც გეგმის 33,5 პროცენტს უდრის.

ამავე რიცხვისათვის ხაშურის რაიონს ჭარხლის ნათესების აღების გეგმა შესრულებული ჰქონდა 82,9 პროცენტით, მოსავლის მიღებისა კი—49,8 პროცენტით. კასპის რაიონმა, სადაც ჭარხლის აღების ჰექტარობრივი გეგმა 77 პროცენტით არის შესრულებული, მიიღო 109.850 ცენტნერი მოსავალი, რაც დავალების 40,5 პროცენტს არ აღემატება. მკვეთრად ჩამორჩენილია გორის რაიონი, სადაც მოსავლის აღების ჰექტარობრივი გეგმა შესრულებულია 31 პროცენტით, მოსავლის მიღებისა კი—20,8 პროცენტით. კასპის რაიონს ამავე რიცხვისათვის აღებული ჰქონდა შაქრის ჭარხალი 518 ჰექტარზე, რაც გეგმის 41,4 პროცენტს უდრის. მთელი ამ ფართობიდან მიღებულია სულ 80.800 ცენტნერი მოსავალი, გეგმის 27,6 პროცენტი.

გარდა ხაშურის რაიონისა, ყველგან ჩამორჩენილია აღებული ჭარხლის ჩაბარება. ამოღებული ჭარხლიდან 15 ოქტომბრისათვის ჩაუბარებელი ჰქონდათ დამამზადებელი პუნქტებისათვის: ქარელის რაიონს 2.244 ცენტნერი, გორის რაიონს 7.000 ცენტნერზე მეტი, კასპის რაიონს კი 17.255 ცენტნერი.

## მზრალად ხვნა კოლმეურნეობებში

### საქმიწსახკომის 15 ოქტომბრის ცნობებით.

| რაიონები | გეგმა ჰექტარობით | მოხნულია ჰექტარობით | გეგმის შესრულება პროცენტობით | რაიონები | გეგმა ჰექტარობით | მოხნულია ჰექტარობით | გეგმის შესრულება პროცენტობით |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| აფხაზეთის | | | | ადიგენი | 3.000 | 3.035 | 101,2 |
| ასსრ | 5.000 | 31 | 0 | ასპინძა | 3.500 | 4.060 | 116 |
| აბაშა | 1.200 | — | — | ხაშური | 6.900 | 5.840 | 84,6 |
| ცხაკაია | 1.000 | — | — | ქარელი | 9.000 | 7.629 | 84,8 |
| გეგეჭკორი | 2.800 | — | — | გორი | 7.720 | 2.877 | 37,3 |
| ზუგდიდი | 700 | — | — | კასპი | 4.300 | 1.937 | 45 |
| ხობი | 250 | — | — | ბორჯომი | 1.000 | 389 | 38,9 |
| წალენჯიხა | 200 | — | — | წალკა | 7.500 | 4.030 | 53,7 |
| ჩხოროწყუ | 200 | — | | დუშეთი | 2.000 | 954 | 47,7 |
| ქუთაისი | 2.800 | 110 | 3,9 | ალბულაღი | 3.000 | 1.676 | 55,9 |
| წყალტუბო | 2.000 | 91 | 4,6 | თიანეთი | 800 | 21 | 2,6 |
| სამტრედია | 1.600 | 331 | 20,7 | გურჯაანი | 4.000 | 955 | 23,9 |
| წულუკიძე | 1.000 | — | — | სიღნაღი | 7.700 | 2.478 | 32,2 |
| ვანი | 1.700 | — | — | წითელწყარო | 6.800 | 1.983 | 29,2 |
| მაიაკოვსკი | 800 | — | — | თელავი | 3.500 | 567 | 16,2 |
| ზესტაფონი | 1.200 | — | — | ყვარელი | 2.000 | 565 | 28,3 |
| ჩხარი | 2.000 | 50 | 2,5 | ლაგოდეხი | 5.000 | 1.269 | 25,4 |
| ჭიათურა | 1.250 | 185 | 14,8 | თბილისი | 2.500 | 680 | 27,2 |
| საჩხერე | 1.500 | 202 | 13,5 | მცხეთა | 2.500 | 362 | 14,5 |
| ტყიბული | 430 | — | — | ყარაია | 1.800 | 592 | 32,9 |
| ონი | 50 | — | — | ბორჩალო | 3.300 | 415 | 12,6 |
| ამბროლაური | 300 | 186 | 62 | ლუქსემბურგი | 3.300 | 372 | 11,3 |
| ცაგერი | 300 | 312 | 104 | საგარეჯო | 6.500 | 1.227 | 18,9 |
| ზემო-სვანეთი | — | 18 | — | ბაშკიჩეთი | 3.300 | 787 | 23,8 |
| სამხრეთ-ოსეთის | | | | | | | |
| ა. ო. | 6.200 | 5.175 | 83,5 | | | | |
| ახალქალაქი | 19.000 | 10.616 | 55,9 | **სულ რესპუბლიკაში** | **170.000** | **72.041** | **42,4** |
| ბოგდანოვკა | 7.800 | 4.062 | 52,1 | | | | |
| ახალციხე | 7.800 | 5.972 | 76,6 | 1939 წ. 15/X იყო | 160.000 | 50.446 | 31,5 |

## საშემოდგომო თესვა კოლმეურნეობებში

### საქმიწსახკომის 15 ოქტომბრის ცნობებით.

| რაიონები | თესვის გეგმა ჰექტარობით | დათესილია ჰექტარობით | გეგმის შესრულება პროცენტობით | რაიონები | თესვის გეგმა ჰექტარობით | დათესილია ჰექტარობით | გეგმის შესრულება პროცენტობით |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სამტრედია | 300 | — | — | თიანეთი | 3.800 | 2.845 | 74,9 |
| ჭიათურა | 1.130 | 366 | 32,4 | გურჯაანი | 15.200 | 4.311 | 28,4 |
| საჩხერე | 1.885 | 1.746 | 92,6 | სიღნაღი | 17.600 | 4.666 | 26,5 |
| ონი | 2.050 | 1.366 | 66,6 | წითელწყარო | 17.700 | 8.534 | 48,2 |
| ამბროლაური | 2.660 | 1.643 | 61,8 | თელავი | 14.100 | 4.655 | 33 |
| ცაგერი | 2.700 | 2.284 | 84,6 | ყვარელი | 8.700 | 930 | 10,7 |
| სამხრეთ-ოსეთის | | | | ლაგოდეხი | 9.700 | 3.962 | 40,8 |
| ა. ო. | 10.850 | 2.750 | 25,3 | თბილისი | 9.500 | 3.031 | 31,9 |
| ახალქალაქი | 6.700 | 4.603 | 68,7 | მცხეთა | 5.000 | 1.173 | 23,5 |
| ახალციხე | 5.200 | 3.671 | 70,6 | ყარაია | 3.700 | 621 | 16,8 |
| ადიგენი | 2.800 | 2.803 | 100,1 | ბორჩალო | 13.000 | 2.709 | 20,8 |
| ასპინძა | 3.200 | 3.229 | 100,9 | ლუქსემბურგი | 7.700 | 724 | 9,4 |
| ხაშური | 6.100 | 3.373 | 55,3 | საგარეჯო | 11.600 | 3.474 | 29,9 |
| ქარელი | 9.500 | 4.140 | 43,6 | ბაშკიჩეთი | 5.300 | 4.628 | 87,3 |
| გორი | 14.700 | 7.017 | 47,7 | | | | |
| კასპი | 6.900 | 3.477 | 50,4 | | | | |
| ბორჯომი | 425 | 367 | 86,4 | | | | |
| წალკა | — | 138 | — | **სულ რესპუბლიკაში** | **288.000** | **99.956** | **42** |
| დუშეთი | 5.200 | 4.969 | 95,6 | 1939 წ. 15/X | | | |
| ალბულაღი | 13.100 | 5.751 | 43,9 | იყო | 262.985 | 80.040 | 30,4 |

# უკრაინისა და საქართველოს რესპუბლიკების მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრება

## მიტინგები ჭიათურის მაღაროებში

(ჭიათურა, „კომუნისტის" კორესპონდენტისაგან)

ჭიათურის მაღაროელები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ დონბასის ორჯონიკიძის სახელობის ტრესტის № 4 შახტის „კრასნი ოქტიაბრის" მაღაროელთა მოწოდებას—საოქტომბრო საჩუქრების მომზადებისა და ოქტომბრის დღესასწაულზე საქართველოს მშრომელების სტუმრად მიწვევის შესახებ.

მოძმე რესპუბლიკის მაღაროელთა გულთბილი წერილი დიდი ინტერესით განიხილეს ლენინის, სტალინის, ორჯონიკიძის, ვოროშილოვის, კაგანოვიჩის, ბერიას და დიმიტროვის სახელობის მაღაროებში.

ლენინის სახელობის მაღაროში, რომელიც სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული „ნიკოპოლმარგანეცის" მაქსიმოვის სახელობის მაღაროსთან, მიტინგზე გამოვიდნენ მაღაროს მოწინავე ადამიანები: ს. ცუცქირიძე, ა. მაჭარაშვილი, ა. ჩაჩანიძე, ვ. სადუნიშვილი და სხვ.

— დონბასელ მაღაროელთა ძმური წერილი,—სთქვა სტახანოველმა ა. ცუცქირიძემ,—ჭიათურის მაღაროელებს ახალ ძალას ჰმატებს. ჩვენ სოციალისტურ შეჯიბრებაში ვართ ჩაბმული ნიკოპოლელებთან, ეს ჩვენი მაღაროს გამარჯვების პირობად გადაიქცა.

ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს სტახანოველები, გაეცნენ რა დონბასელ მაღაროელთა წერილს, მაღაროში შევიდნენ იმ რწმენით, რომ დონბასელთა მოწოდების საპასუხოდ ახალ წარმატებებს მიაღწევენ. დონბასელი სტახანოველის ნიკოლოზ კრავცოვის ინიციატივას, ჩქარ მომუშავეთა მოძრაობას, პირველად გამოეხმაურა მაღაროს მოწინავე სტახანოველი კ. ჭიღლაძე—მე-4 უბნის მეხუთე ლავში მან 16 ოქტომბერს 18 ტონის ნაცვლად 45 ტონა მარგანეცი ასწმინდა და გეგმა 250 პროცენტით შეასრულა. მან ვალდებულება აიღო ოქტომბრის დღესასწაულს უფრო მაღალი მაჩვენებლებით შეხვდეს.

აღებული ვალდებულება გაანაღდა ორჯონიკიძის სახელობის მე-5 უბნის გამგემ ლ. სამყურაშვილმა. ეს უბანი 15 და 16 ოქტომბერს გამოვიდა გარღვევიდან და დღიურ დავალებას 105 პროცენტით ასრულებს. მე-4 უბანმა (გამგე—სიკინჭალაშვილი) მიცემული დავალება 122 პროცენტით შეასრულა. მთლიანად მაღარო კი გეგმას 102 პროცენტით ასრულებს.

ვოროშილოვის სახელობის მაღაროში, რომელიც შეჯიბრებაშია ჩაბმული „ნიკოპოლმარგანეცის" ვოროშილოვის სახელობის მაღაროსთან, დონბასელთა წერილის განხილვამ ახალი აღმავლობა გამოიწვია. ცნობილმა სტახანოველმა ალ. ზარქუამ განაცხადა, რომ იგი ებმება ჩქარ მომუშავეთა მოძრაობაში. 15 - 16 ოქტომბერს მან 17 ტონის ნაცვლად, 35 - 35 ტონა მარგანეცი ასწმინდა და დღიური დავალება 205,9 პროცენტით შეასრულა.

დონბასელთა მოწოდებამ ახალი აღმავლობა გამოიწვია სტალინის, დიმიტროვის და კაგანოვიჩის სახელობის მაღაროებშიც.

**დ. ლოლაძე**

## შაქრის ჭარხალი სამხრეთ-ოსეთში

**სტალინირი** („კომუნისტის" კორ.). მომავალი წლიდან სტალინირისა და ზნაურის რაიონების კოლმეურნეობებში შეუდგებიან მათთვის ახალი კულტურის—შაქრის ჭარხლის თესვას. წინასწარ ჩატარებულმა მუშაობამ დაადასტურა, რომ სამხრეთ-ოსეთში შეიძლება შაქრის ჭარხლის განვითარება და მოსავალიც საკმაო იქნება.

შაქრის ჭარხალი დაითესება სულ 300 ჰექტარზე: ზნაურის რაიონში 160 ჰექტარზე, ხოლო სტალინირის რაიონში—140 ჰექტარზე.

## საქართველოს საშენ მასალათა მრეწველობის წარმატებები

### (საუბარი საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ საშენ მასალათა მრეწველობის მთავარსამმართველოს უფროს ამხ. ა. ბუხნიკაშვილთან)

გასული წლის სექტემბერში საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკთა აქტივის კრებაზე გადავწყვიტეთ და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მსგავსად სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩავებით მოძმე უკრაინის საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკებთან. უკრაინელი ამხანაგები ჩვენს წამოწყებას გამოეხმაურნენ. დავდევით სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება, საქმით გავშალეთ ბრძოლა ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის.

გასულ წელს საგრძნობი წარმატებები მოვიპოვეთ. შეჯიბრების შედეგები შეაჯამა სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სახალხო კომისარიატმა და აღნიშნა საქართველოს საშენ მასალათა მრეწველობის აღმავლობა.

მაგრამ ჩვენი საწარმოების მუშაკთა კოლექტივები მიღწეულით არ დაკმაყოფილდნენ. მიმდინარე წლის თებერვალში კვლავ განახლდა შეჯიბრება და კიდევ უფრო გაიშალა ბრძოლა მეტი და მაღალხარისხოვანი აგურის, კრამიტის, კირის და სხვა საშენი მასალებისათვის.

ახლა ჩვენ შეგვიძლია ზოგი რამ ვთქვათ იმაზე, თუ რა მოგვცა უკრაინელებთან შეჯიბრებამ, თუ რა დიდია შეჯიბრების ძალა.

როდესაც სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სახალხო კომისარიატმა ნახევარი წლის მუშაობის შედეგები შეაჯამა, ჩვენს სამმართველოს სსრ კავშირში პირველი ადგილი მიაკუთვნა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უკრაინის საშენ მასალათა მრეწველობა სამეურნეო წლის პირველ ნახევარში საგრძნობლად ჩამორჩა — იგი მეათე ადგილზე გამოვიდა. სამეურნეო წლის რვა თვის შედეგების მიხედვით ჩვენ კვლავ პირველ ადგილზე ვართ (რვა თვეში წლიური გეგმა 66,6 პროცენტით შევასრულეთ). ამავე დროს დაწინაურდა უკრაინის საშენ მასალათა მრეწველობაც. მან რვა თვეში წლიური დავალება 55,6 პროცენტით შეასრულა და ამჟამად მეხუთე ადგილი უჭირავს.

მუშაობის საუკეთესო ნიმუშები გვიჩვენეს ცალკე საწარმოებმა. კურსების გრანიტის ქარხანამ ნახევარი წლის გეგმა 110,4 პროცენტით შეასრულა, შრომის ნაყოფიერებისა — 108,9 პროცენტით, ხოლო თვითღირებულება შემცირა 19 პროცენტით. ამ ქარხნის კოლექტივს სამართლიანად მიეკუთვნა საშენ მასალათა მრეწველობის სამმართველოს გარდამავალი წითელი დროშა. ამავე დროს გამოიყო სათანადო თანხა ქარხნის მოწინავე სტახანოველების დასაჯილდოებლად. კარგად მუშაობენ აგრეთვე ექლარ-კვახჭირის და ქუთაისის კირის ქარხნები, ძირულის ცეცხლგამძლე აგურის ქარხანა და სხვ.

საქართველოს საშენ მასალათა მრეწველობის მოწინავე ადამიანთა მუშაობა სათანადოდ შეაფასა სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სახალხო კომისარიატმა. სახალხო კომისრის ამხ. ლ. სოსინის 17 სექტემბრის ბრძანებით „სოციალისტური შეჯიბრების ფრიადოსნის" ნიშნით და ქების ფურცლებით დაჯილდოებულია 24 ამხანაგი. დაჯილდოებულთა შორის არიან: ნოსირის აგურ-კრამიტის ალიზის მჭრელი ამხ. ა. ბარათელია, კერამიკა-თაბაშირის ქარხნის კაფელის ოსტატი ამხ. ნ. გლადკიხი, ქუთაისის კირის ქარხნის ბრიგადირი ამხ. ა. ზედაშიძე, შრომის ცეცხლგამძლე ნაკეთობათა ქარხნის დირექტორი ამხ. ი. ინგოროყვა, ღრმა-ღელის აგურის მექანიზებული ქარხნის მეაგურე ამხ. სესიკელაშვილი, კურსების გრანიტის ქარხნის მბურღავი ამხ. ვ. პავლოვა, ამავე ქარხნის დირექტორი ამხ. ვ. მაყულაშვილი და სხვ.

ჯილდომ საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკებში შრომითი აღმავლობა გამოიწვია. ამჟამად ჩვენი საწარმოები, ჩაბმული არიან რა წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში, იბრძვიან იმისათვის, რომ ახალი საწარმოო გამარჯვებებით აღნიშნონ დიადი სოციალისტური რევოლუციის XXIII წლისთავი, მოიპოვონ მოძმე უკრაინის მშრომელებთან გასაგზავნ დელეგაციაში მონაწილეობის მიღების უფლება.

წელს ამ დიად დღესასწაულს იმითაც აღვნიშნავთ, რომ 1 ნოემბრიდან ექსპლოატაციაში შევა საბურთალოს აგურის მექანიზებული ქარხანა, რომელიც ყველაზე დიდი იქნება საშენ მასალათა მრეწველობის ქარხნებს შორის, იგი მოწყობილია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით და ყოველწლიურად მოგვცემს 14 მილიონ ცალ აგურს.



თბილისის დეპოს კოლექტივი ემზადება ნიჟნედნეპროვსკის კვანძთან დადებულ სოციალისტური შეჯიბრების შეჯამებისათვის. **სურათზე:** სოციალისტური შეჯიბრების მოწინავენი (მარცხნიდან მარჯვნივ)—კრივონოსელი მემანქანე ლ. ს. ბერიძე, საამქროს ოსტატი შ. ი. წიკლაური და დეპოს უფროსი ნიშნოსანი სარალიძე. (საქდესის ფოტოქრონიკა)

## საქდესის ცნობა

1. იაპონურ გაზეთ „ხოცის" ა. წ. 16 ოქტომბრის ნომერში მოთავსებულია ცნობა, რომ „სსრ კავშირის მთავრობამ გადასწყვიტა მოიწვიოს მოსკოვში 4 სახელმწიფოს—სსრ კავშირის, იაპონიის, გერმანიისა და იტალიის კონფერენცია".

საქდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ ეს ცნობა სინამდვილეს არ შეეფერება.

2. ინგლისის გაზეთებმა „ნიუს ქრონიკლმა", „დეილი ჰერალდმა", „დეილი მეილმა" და „დეილი ექსპრესმა" გამოაქვეყნეს რეიტერის სააგენტოს ცნობა, თითქოს საბჭოთა ჯარები შევიდნენ რუმინეთში, შავ ზღვაში კი საბჭოთა ნაღმოსანმა ჩაძირა რუმინეთის [illegible] სტამბოლში გამომავალმა — თურქულმა გაზეთებმა 16 ოქტომბერს მოათავსეს ცნობა ლონდონიდან, თითქოს [illegible] შეტაკება საბჭოთა და გერმანიის ნაწილებს შორის.

საქდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ ყველა ზემოთმოყვანილი ცნობები მოკლებულნი არიან ყოველგვარ საფუძველს.

## ინგლისის ფინანსთა მინისტრის განცხადება

**ლონდონი**, 17 ოქტომბერი (საქდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება: თემთა პალატაში, ვიდრე კენჭს უყრიდნენ კანონპროექტს ინგლისის მთავრობისათვის ერთი მილიარდი გირვანქა სტერლინგის რაოდენობით ახალი სამხედრო კრედიტის მიცემის შესახებ, სიტყვა წარმოსთქვა ფინანსთა მინისტრმა ვუდმა, რომელმაც განაცხადა: ამჟამად ინგლისი თავისი სამხედრო საჭიროებისათვის ყოველდღიურად ხარჯავს 9 მილიონ გირვანქა სტერლინგს. ივლისიდან ინგლისის სამხედრო ხარჯები დღეში ერთნახევარი მილიონი გირვანქა სტერლინგით გადიდდა. ოთხი კვირის განმავლობაში, რაც 12 ოქტომბერს დამთავრდა, ინგლისის სამხედრო ხარჯები კვირაში საშუალოდ შეადგენდნენ 64 მილიონ გირვანქა სტერლინგს. ახლა ყოველდღიური ხარჯი არმიის, ფლოტისა და ავიაციისათვის შვიდნახევარ მილიონ გირვანქა სტერლინგს შეადგენს, სხვა საჭიროებისათვის კი, ამას გარდა, ერთნახევარი მილიონი გირვანქა სტერლინგი იხარჯება დღეში. მარტიდან არმიის, ფლოტისა და ავიაციის ხარჯები თითქმის გაორკეცდა. დასასრულ ვუდმა განაცხადა: ჩემი აზრით, მომავალში სამხედრო ხარჯები უფრო მოიმატებსო. ერთი მილიარდი გირვანქა სტერლინგის კრედიტი ინგლისის მთავრობას ივლისში მიეცა. ეს კრედიტი ნოემბერში ამოიწურება. თუ მხედველობაში მივიღებთ დღევანდელ ხარჯებს, ახალი კრედიტების მიცემის საკითხი დასმულ იქნება არაუადრეს მომავალი წლის მარტისა.

## იდენი ეგვიპტეს გაემგზავრა

**ლონდონი**, 17 ოქტომბერი (საქდესი). რეიტერის სააგენტო აქვეყნებს გაზეთ „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის" დიპლომატიური მიმომხილველის სტატიას, რომელშიც ნათქვამია: „ეგვიპტეში იდენის წასვლა ცხადჰყოფს, თუ რა მნიშვნელობას აძლევს ინგლისის მთავრობა სამარი მოქმედების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე ახლო მომავალში მოსალოდნელ ამბავთა განვითარებას.

ინგლისს არასოდეს არა ჰქონია განზრახვა დაუსრულებელი თავდაცვითი პოზიცია დაეკავებინა ხმელთაშუა ზღვაზე, თუმცა საფრანგეთის დამარცხებამ ძალთა ახალი თანაფარდობა შექმნა და შესაფერისი გადაჯგუფების აუცილებლობა გამოიწვია. ეგვიპტეში იდენი უშუალოდ იმუშავებს ომის პრობლემაში იტალიის ფაქტორის საკითხის გარშემო. ამას წინათ იდენმა თითქმის მთელი თავისი ყურადღება სამარი მოქმედების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზისაკენ მიმართა; კაიროში მას შესაძლებლობა ექნება საფუძვლიანად განიხილოს მრავალი პრობლემა და პირველი წყაროდან მიიღოს ინფორმაცია, რაც დიდ ღირებულებას წარმოადგენს ლონდონის მთავრობისათვის".

## ბატლერის პასუხი თემთა პალატაში გაკეთებულ შეკითხვაზე

**ლონდონი**, 17 ოქტომბერი (საქდესი). როგორც ინფორმაციის სამინისტრო იუწყება, გუშინ თემთა პალატის სხდომაზე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ბატლერმა უპასუხა შეკითხვაზე და განაცხადა: ინგლისის მთავრობამ ნორმალური სავაჭრო ურთიერთობა რუმინეთთან შესწყვიტაო.

## კინგსლი ვუდის გამოსვლა

**ლონდონი**, 17 ოქტომბერი (საქდესი). რეიტერის სააგენტო აქვეყნებს ცნობას კერძო კრებაზე ფინანსთა მინისტრის კინგსლი ვუდის გამოსვლის შესახებ.

კინგსლი ვუდი შეეხო საფინანსო პოლიტიკის საკითხებსა და განაცხადა: ინგლისის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი, რაც სამხედრო ასიგნობათა და წლიურ შემოსავალს შორის არსებულმა დიდმა გარღვევამ წარმოშვა, შეიძლება შევსებულ იქნას მხოლოდ ინფლაციის ან გადასახადთა გადიდების გზით, აგრეთვე მოსახლეობის დანაზოგთა მოზიდვის გზით. იმ პოლიტიკამ, რასაც ინგლისის მთავრობა დღემდე ანხორციელებდა, საშუალება მოგვცა ინფლაცია თავიდან აგვეცილებინა, მაგრამ ინფლაციის საფრთხე მუდამ იარსებებს, თუ მთავრობამ მომავალში საფინანსო პოლიტიკის მტკიცე კურსი არ დაიცვა.

კინგსლი ვუდმა აღნიშნა, რომ გადასახადთა შემოსვლა ინგლისის სამხედრო ხარჯების მხოლოდ მცირე ნაწილს ჰფარავს, და ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ მოსახლეობის დანაზოგთა მოზიდვას ომის საჭიროებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

ინგლისის ისტორიაში ძნელი წელიწადი მოგველის, — განაგრძო კინგსლი ვუდმა, — და ნახევრული ზომები ამჟამად არ გამოგვადგება. მთავრობას შეუძლია და ყოველივე უნდა გააკეთოს, რაც კი მასზე დამოკიდებულია იმ პირობების შესაქმნელად, რომლებიც მაქსიმალურად უზრუნველჰყოფენ მთავრობის სესხებზე ხელმოწერას და მოსახლეობის დანაზოგთა მოზიდვას.

## კამპანია საიმედო ყუმბარსაფართა აგებისათვის ინგლისში

**ლონდონი**, 17 ოქტომბერი (საქდესი). ლონდონის სამხრეთ-დასავლეთით უონდსუორტის რაიონში, რომელიც შრომის მინისტრის ბევინის საარჩევნო ოლქს წარმოადგენს, კომპარტიის დელეგაცია ესაუბრა რაიონის მერს და რაიონის ინჟინერს. დელეგაციამ მოითხოვა პირობების გაუმჯობესება ყუმბარსაფარებში. რამდენიმე დღის შემდეგ კომუნისტებმა დიდძალ ხალხს მოაწერინეს ხელი პეტიციაზე, რომელიც მოითხოვს საიმედო ყუმბარსაფართა მოწყობას და დაცალიერებული ბინების რეკვიზიციას იმათთვის, ვინც ბომბარდირების შედეგად უსახლკაროდ დარჩა. ამის შემდეგ უონდსუორტის პროფსაბჭომ გადასწყვიტა, მოიწვიოს ლეიბორისტული პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის გაფართოებული კრება საჰაერო თავდაცვის გეგმის შესამუშავებლად. მანქანათმშენებელთა კავშირის ადგილობრივმა განყოფილებამ მოითხოვა, რათა პროფსაბჭომ მოიწვიოს მუშათა კლასის ყველა ორგანიზაციის საგანგებო კონფერენცია, აგრეთვე პროფრწმუნებულთა თათბირი. უკანასკნელი დანიშნულია 20 ოქტომბრისათვის.

ქალაქ კინგს ლინის საქალაქო საბჭომ მიიღო სახალხო სიფხიზლის ადგილობრივი კომიტეტის წარმომადგენლები, რომლებმაც წარუდგინეს პეტიცია 2.342 კაცის ხელმოწერით. პეტიცია მოითხოვს ჰოლდეინის ტიპის თავშესაფართა აგებას ადგილობრივი სკოლებისათვის. მერმა განაცხადა, თავშესაფართა აგების გეგმა, შეიძლება, განხილულ იქნასო. მისმა პასუხმა ვერ დააკმაყოფილა წარმომადგენელნი და ახლა კომიტეტმა მიმართა პეტიციით, სადაც საერთო-საქალაქო კრების მოწვევას მოითხოვს.

## უმუშევრობა ინგლისში

**ლონდონი**, 17 ოქტომბერი (საქდესი). როგორც შრომის სამინისტრო აცხადებს, რეგისტრირებულ უმუშევართა რიცხვი ინგლისში 16 სექტემბრისათვის 613.671 კაცს უდრიდა მაშინ, როცა 12 აგვისტოს 612.156 კაცი იყო. გარდა ამისა, 16 სექტემბრისათვის იყო 185.000 ნაწილობრივ უმუშევარი, ესე-იგი 30.520 კაცით მეტი, ვიდრე 12 აგვისტოს.

## ავსტრალიის სამხედრო ღონისძიებანი

**ნიუ-იორკი**, 17 ოქტომბერი (საქდესი). გაზეთი „კრისჩენ საიენს მონიტორი" იუწყება, რომ ავსტრალიის მთავრობამ დამატებით გამოჰყო 50 მილიონი გირვანქა სტერლინგი სამხედრო მრეწველობის საწარმოთა გასაფართოებლად. ამასწინათ ავსტრალიამ ინგლისის დაკვეთა მიიღო 8 მილიონი გირვანქა სტერლინგის სამარი მასალის მიწოდებაზე. ავსტრალიის ერთერთი სამხედრო ქარხანა ამზადებს 3,7 დუიმიან საზენიტო და ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზნებს, ჰაუბიცებს, შორსმსროლელ ყუმბარსატყორცნს, ფუგასურ ტანკსაწინააღმდეგო, საზენიტო და კვამლიან ჭურვებს, აგრეთვე სამხედრო - საზღვაო ფლოტის ჭურვებს, მათ შორის 9-დუიმიან ჭურვებს. ახალი ზელანდია წვრილი იარაღის წარმოებაში ავსტრალიასთან ერთიანდება და იქ კვალიფიციურ მუშებს ჰგზავნის. ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის სამხედრო ქარხნები ყოველწლიურად ამზადებენ 7,62 მილიმეტრიანი ყალიბის შაშხანის 100 მილიონ ვაზნას. ამ ქარხნებს თავიანთი პროდუქციით შეუძლიათ დააკმაყოფილონ ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის ადგილობრივი შეიარაღებული ძალების მოთხოვნილება შაშხანებზე. გარდა ამისა, ქარხნები ამზადებენ ვიკერსის სისტემის დაზგის ტყვიამფრქვევებს ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის იმ ნაწილებისათვის, რომლებიც იმპერიის შეიარაღებულ ძალთა შემადგენლობაში შედიან.

ივნისში დიდძალი წვრილი იარაღი და სამარი მასალა დაიღუპა ინგლისს მიმავალ გემზე, რომელიც ნაღმს წააწყდა და ჩაიძირა.

---

**გრ. კოკელაძე**

საქართველოს ხალხური შემოქმედების სახლის დირექტორი

# იფურჩქნება ხალხური შემოქმედება

ქართველი ხალხის მდიდარი, მრავალფეროვანი შემოქმედება, დევნილი მეფის სატრაპების მიერ, გაიფურჩქნა და აყვავდა სტალინური მზით გამთბარი. შესანიშნავი ტალანტები, რომელთაც წინათ გასაქანი არ ჰქონდათ, ახლა გაბედულად გამოვიდნენ სამოღვაწეო ასპარეზზე და მთელი ხმით უმღერიან ჩვენი ხალხის ბედნიერ და საამურ ცხოვრებას. არა მარტო საქართველოში, არამედ საბჭოთა კავშირის სხვა მოძმე რესპუბლიკებში მღერიან ქართულ ხალხურ სიმღერებს. როცა ქართველი თვითმოქმედი გუნდი რომელიმე კლუბში უკრაინულ ჰანგზე ამღერებს ტ. შევჩენკოს

> „რა სჯობია ქვეყანაზე
> ყოფნას ერთად, ძმურად,
> კეთილ ძმასთან ძმურად მღერდე,
> იყო მეგობრულად!"

ხარკოვის სატრაქტორო ქარხნის გუნდი ქართულ ჰანგზე გვიპასუხებს შოთას სიტყვებით:

> „ხამს მოყვარე მოყვრისათვის
> თავი ჭირსა არ დამრიდად,
> გული მისცეს გულისათვის,
> სიყვარული გზად და ხიდად".

ქართველ და უკრაინელ მოძმე ხალხთა ამ დიადმა სიყვარულმა, სტალინურმა მეგობრობამ წარმოშვა ამ ორი ხალხის სოციალისტური შეჯიბრების ძლიერი ტალღა, რომელიც სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგს მოედო. ერთმანეთს ეჯიბრებიან უკრაინისა და საქართველოს კოლმეურნენი, მუშები, მეცნიერები, მოწაფეები, ხელოვნების მუშაკები და ხალხური შემოქმედების ოსტატები.

ამ საერთო შეჯიბრების ფონზე ინტერესს მოკლებული არ იქნება გავაცნოთ მკითხველებს უკრაინისა და საქართველოს ხალხური შემოქმედების ცენტრალური სახლების სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობა და ის მიღწევები, რომლებიც ჩვენმა თვითმოქმედმა ხელოვნებამ მოიპოვა შეჯიბრების შედეგად.

ხალხური შემოქმედების სახლის დანიშნულებაა უხელმძღვანელოს თვითმოქმედ ხელოვნებას, გამოავლინოს ხალხური შემოქმედების თვალსაჩინო ნიმუშები, დაეხმაროს მშრომელებს თვითმოქმედი წრეების ჩამოყალიბებაში, მუშაობის წარმართვაში. უკრაინისა და საქართველოს ხალხური შემოქმედების სახლებს შორის დადებული სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება სწორედ ამ მუშაობის უმაღლეს საფეხურზე აყვანას ემსახურება.

საქართველოს ხალხური შემოქმედების სახლმა უკვე შეაჯამა ამ დარგში ჩატარებული მუშაობა. გაგზავნა დელეგაცია უკრაინაში უკრაინელი ამხანაგების მუშაობის გასაცნობად. რა მიღწევები გვაქვს ჩვენ თვითმოქმედი ხელოვნების დარგში?

საქართველოში 1134 თვითმოქმედი წრეა. აქედან: საგუნდო 376, მეჩონგურეთა ანსამბლი—72, მეფანდურეთა — 37, სასულე ორკესტრი — 127, სიმებიანი—64, თეატრალური წრე — 349, ქორეოგრაფიული — 110 და სახვითი — 8. აღნიშნულ 1134 წრიდან აფხაზეთშია 133, აჭარაში—121, სამხრეთ-ოსეთში — 43, ხოლო დანარჩენი — საქართველოს სხვა რაიონებში.

ცალკე დარგების მიხედვით საქართველოს ხალხური შემოქმედების სახლმა შემდეგი მუშაობა ჩაატარა:

მუსიკის დარგში. დამზადებულია ქართული ხალხური სიმღერების კრებული, რომელშიაც შედის 355 სიმღერა. სიმღერების შეგროვება - ჩაწერა გრძელდება. ასე, მაგალითად, აფხაზეთში მუშაობდა ორი ექსპედიცია, იმერეთში ერთი და ჯავახეთში—ორი. ექსპედიციებმა 300-ზე მეტი სიმღერა ჩაწერეს. თბილისში ჩაიწერა 50 სიმღერა. ეს სიმღერები დამუშავების შემდეგ გამზადდება გამოსაცემად. დამზადებულია გამოსაცემად გრ. ჩხიკვაძის ნაშრომი: „ქართული მუსიკალური ფოლკლორის შეგროვების ისტორიისათვის". შედგენილია ა. მეგრელიძის მიერ ჩონგურისა და ფანდურის თვითმასწავლებელი. ჩატარდა კონკურსი ჩონგურისა და ფანდურის უკეთ გაკეთებაზე. მოეწყო ქართულ ხალხურ საკრავთა ორკესტრი, რომელიც ამჟამადაც წარმატებით მუშაობს. ჩატარდა ხალხურ საკრავებზე შემსრულებელთა კონკურსის 1 ტური. მეორე ტურში (მოსკოვში) საქართველოდან დაჯილდოებულია 5 შემსრულებელი. მომზადდა გუნდების ხელმძღვანელთა ახალი კადრები.

თეატრალური წრეები. თეატრალური თვითმოქმედების დარგში დიდი მუშაობა ჩატარდა. წრეებისათვის მომზადდა ხელმძღვანელთა ახალი კადრები. დაიბეჭდა რამდენიმე პიესა, საბჭოთა საქართველოს 20 წლისთავისათვის ქართველ მწერლებს დაკვეთილი აქვთ პიესები.

ქორეოგრაფია. ქართული ცეკვების შესწავლისა და ქორეოგრაფიული წრეების ხელმძღვანელობის საქმეში დიდი წარმატება გვაქვს. გაიწმინდა ხელმძღვანელთა კადრები მიტმასნილი ელემენტებისაგან, გაძლიერდა ბრძოლა ქართული ცეკვების შესრულების მაღალი მხატვრული დონისათვის. ხალხური შემოქმედების სახლს ჰყავს სპეციალისტი ქორეოგრაფი, რომელიც კონტროლს უწევს და ეხმარება წრეებს კონსულტაციით. შედგენილია და გამზადებულია გამოსაცემად სახელმძღვანელო, რომელიც დიდ დახმარებას გაუწევს ქორეოგრაფებსა და საცეკვაო წრის წევრებს.

სახვითი ხელოვნება. ქართული სახვითი ხელოვნება მრავალფეროვანია. გარდა მხატვრებისა, ჩვენ გვყავს ქსოვის, ქარგვის, ჭედურობის, დაჩითულობის, ხეზე ამოწვის, ლითონსა, ხესა და ქვაზე ამოჭრის შესანიშნავი ოსტატები. ხალხური შემოქმედების სახლმა მათ თავი მოუყარა სახვითი ხელოვნების სასწავლო კომბინატში, რომელსაც აქვს ყველა დარგის ექსპერიმენტალური სახელოსნო. ამ სახელოსნოებმა სასოფლო სამეურნეო გამოფენაზე წარადგინეს ხალხური შემოქმედების 70 ნიმუში. გამოფენაში მონაწილეობისათვის 6 ოსტატმა მიიღო ჯილდო. ხალხური სახვითი ხელოვნების ოსტატები წარმატებით მონაწილეობდნენ საკავშირო და რესპუბლიკურ გამოფენებში. მათი ნაწარმოებები შეიძინეს ლენინგრადის ეთნოგრაფიულმა მუზეუმებმა, საბჭოთა კავშირის ხალხთა მუზეუმმა მოსკოვში, ლენინის მუზეუმის ფილიალმა თბილისში და სხვ.

ამჟამად ხალხური შემოქმედების სახლი ემზადება სიმღერებისა და ცეკვის სრულიად საქართველოს მე-6 ოლიმპიადისათვის, რომელიც 1941 წელს შესდგება.

საგაზეთო წერილში ძნელია მთელი იმ მუშაობის აღწერა, რაც საქართველოს ხალხური შემოქმედების სახლმა ჩაატარა. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ უკრაინის ხალხური შემოქმედების სახლთან სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების დადებამ დიდი როლი ითამაშა ჩვენს მუშაობაში. იგი ჩვენი წინსვლის მძლავრ სტიმულად გადაიქცა. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ მომავალშიაც განვაახლოთ სოციალისტური შეჯიბრება და გამოცდილების გაცვლა-გამოცვლა უკრაინის ხალხური შემოქმედების სახლთან.

◆

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პარტიული ცხოვრება

# მთავარია მიღებულ დადგენილებათა ცხოვრებაში გატარება

თბილისის არტელ „მკერავთა კომუნის“ მესამე საამქროს პარტიულმა ორგანიზაციამ (პარტბიუროს მდივანი — ამხ. გ. ოვანესიანი) პარტიულ კრებაზე გულდასმით განიხილა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულების შესრულების საკითხი. ამ კრებაზე მიღებულ დადგენილებათა განსახორციელებლად პარტიული ორგანიზაცია მეორე დღიდან შეუდგა მუშაობას. მოიწვიეს აგიტკოლექტივი და აგიტატორებს შორის სათანადო ახსნა-განმარტება ჩაატარეს. აგიტატორებმა ამხ. ს. ღარიბოვმა, ა. დუმანიანმა, ზ. ბუხჰალტერმა და სხვ. გააჩაღეს სააგიტაციო მუშაობა მუშა-მოსამსახურეთა შორის. სომხურ ენაზე თვით პარტბიუროს მდივნის მოადგილე ამხ. მაკირტუმიანი ატარებს საუბრებს.

სააგიტაციო მუშაობის სისტემატურად ჩატარებამ და პარტიულ კრებებზე მიღებულ დადგენილებათა შესრულების დაუღალავად შემოწმებამ დაგვანახვა, რომ „მკერავთა კომუნის“ მესამე საამქროში, სადაც მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი 130 კაცს აღემატება, 26 ივნისის ბრძანებულების შემდეგ მხოლოდ დაგვიანების ერთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი, ხოლო აგვისტოსა და სექტემბერში გაცდენისა და დაგვიანების არცერთი შემთხვევა არ ყოფილა.

ზემოაღნიშნულ საამქროს კომუნისტებმა სწორად გაიგეს 26 ივნისის ბრძანებულების მნიშვნელობა და პარტიის წევრის მოვალეობა. ამ საამქროს თვითეული პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკი შეგნებულად მოეკიდა თავის წინაშე მდგომ ამოცანებს. ბრძანებულების მტკიცედ გატარებისათვის თვითეულმა მათგანმა აიღო კონკრეტული ვალდებულება.

პარტორგანიზაციამ ამასწინათ თავის კრებაზე განიხილა აღებულ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობის საკითხი. გამოირკვა, რომ ქალის პალტოების მკერავი, საკ. კ. პ. (ბ) წევრი ამხ. ს. ღარიბოვა გეგმებს სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს, ქალის კაბების მკერავი ამხ. ვ. ბალათურია და ი. ოგანეზოვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულებამდე გეგმებს 100 პროცენტამდე ასრულებდნენ, ახლა კი მათ მიერ გეგმის შესრულება 150 პროცენტს აღემატება.

მაგრამ თბილისის ცენტრალური ტელეგრაფის ბოდო-საამქროს მესამე ცვლის ყოფილი ბრიგადირი, საკ. კ. პ. (ბ) წევრი ნ. იაკუბოვა ასე შეგნებულად როდი უდგება ამ ფრიად მნიშვნელოვან და პასუხსაგებ საქმეს. არა თუ არ იბრძვის ბრძანებულებათა კეთილსინდისიერად გატარებისათვის, არამედ სრულ უპასუხისმგებლობას იჩენს მუშაობაში. ხშირად კერძო საუბრებით აცდენს მომუშავეებს. მისი დაუდევრობით ბრიგადაში დეპეშები ხშირად მახინჯდებოდა, რის გამო უამრავ წუნდებულ დეპეშათა გადაცემას ჰქონდა ადგილი. ივლისში ასეთი ამბავი მოხდა: დეპეშაში, რომლის მისამართი უნდა ყოფილიყო: „ქალ. ლუგა, ლენინგრადის მეორე საქალაქო სკოლა“, მის ბრიგადაში მომუშავე მარცვალოვამ შემდეგი სიტყვები ჩასწერა: „ქალ. ლუგა, ამხანაგო დიომიდე, გელაპარაკება ლორთქიფანიძე. რჩევისათვის შეგეკითხები ერთ რამეს და ამიხსენი“. ნაცვლად იმისა, რომ ამხ. იაკუბოვას გულდასმით შეემოწმებინა დეპეშა, მან ზემოაღნიშნული დეპეშა „შეუმოწმებლად გაუშვა ქალაქ ლუგისათვის გადასაცემად. მართალია, დირექციამ იაკუბოვა მოხსნა ბრიგადირობიდან, მაგრამ პარტიულ ორგანიზაციას მის შესახებ დღემდე არ უმსჯელნია, თუმცა, გარდა აღნიშნულისა, იაკუბოვამ სამუშაოზეც დაიგვიანა.

თბილისის ცენტრალური ტელეგრაფის პარტორგანიზაცია პარტიულ კრებაზე მიღებულ დადგენილებათა განხორციელებისთვისაც არ იბრძვის. მაგალითად, 9 აგვისტოს მოწვეულ იქნა პარტიული ბიურო, რომელზეც მოისმინეს ცენტრალური ტელეგრაფის დირექტორის ამხ. ი. შავგულიძის მოხსენება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობის შესახებ. გამოირკვა, რომ სააგიტაციო მუშაობა საგრძნობლად მოისუსტებდა. კედლის გაზეთის მუშაობა სრულიად არ ჩანდა. ბრძანებულებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში კომკავშირის ორგანიზაცია არავითარ ზომებს არ იღებდა.

კომკავშირის ორგანიზაცია (კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოვალეობის შემსრულებელი — ამხ. გ. მელიქიანი) არა თუ არ იბრძოდა ბრძანებულების გატარებისათვის, არამედ შრომის დეზორგანიზატორ კომკავშირელთა წინააღმდეგაც არავითარ ზომებს არ იღებდა. მაგალითად, კომკავშირელმა გ. ლუკაშოვამ ივნისში სამი დღე გააცდინა, რისთვისაც სახალხო სასამართლომ 6 თვით იძულებითი მუშაობა მიუსაჯა ხელფასიდან 20 პროცენტის დაკავებით. კომკავშირის ორგანიზაციას კი მის შესახებ არ უმსჯელნია.

ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად პარტბიურომ დასახა სათანადო ღონისძიებანი.

მაგრამ თბილისის ცენტრალური ტელეგრაფის პარტბიუროს მდივანი ამხ. ა. ცაგარეიშვილი მხოლოდ დადგენილების გამოტანით დაკმაყოფილდა, მუშაობა დამთავრებულად ჩასთვალა და არ იზრუნა პარტბიუროს მიერ მიღებული დადგენილების ცხოვრებაში გატარებისათვის. ამიტომ ნაწილობრივ პარტორგანიზაციის სუსტი მუშაობის შედეგად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ახლაც აქვს ადგილი გაცდენისა და დაგვიანების შემთხვევებს: აგვისტოსა და სექტემბერში სამუშაო გააცდინა 32 კაცმა, ხოლო 41-მა დაიგვიანა; მათ შორის პარტიის ორი წევრი და 6 კომკავშირელია.

საკითხის განხილვა და დადგენილების გამოტანა კარგი და აუცილებელია. მაგრამ ეს მხოლოდ საქმის დასაწყისია. საჭიროა პარტიულ კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების შესრულებისათვის თავდადებული მუშაობა, შესრულების სისტემატური შემოწმება. მხოლოდ ამ პირობით შეიძლება მივაღწიოთ თვითეული პარტორგანიზაციის ნაყოფიერ, შემოქმედებით მუშაობას.

**ელ. ჩიტიშვილი**

## რაიონის აქტივი სამხედრო საქმეს ეუფლება

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ბერიას სახელობის რაიკომში ჩატარდა პირველადი პარტორგანიზაციებისა და პარტბიუროს მდივნების თათბირი, რომელმაც განიხილა რაიონის პარტიულ და საბჭოთა აქტივის სამხედრო სწავლების საკითხი.

რაიონში ყალიბდება 4-თვიანი სამხედრო კურსები, სადაც რაიონის აქტივი წარმოებაზე მოუწყვეტლად შეისწავლის სამხედრო საქმეს.

ლექციებს წაიკითხავენ სამხედრო სპეციალისტები. (საქდესი).

# ახალი ქართული ოპერა „კაკო ყაჩაღი“

პრემიერა „კაკო ყაჩაღი“ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში. სურათზე: მხატვარი ვ. სიდამონ-ერისთავი, დირიჟორი ო. დიმიტრიადი, კომპოზიტორი ა. ანდრიაშვილი, რეჟისორი გ. ჟურული, ლიბრეტისტი გ. იმედაშვილი.

## გმირული სპექტაკლი

შესანიშნავ ხალხურ ზეპირსიტყვაობასა და სიმღერებს თაობიდან თაობაში გადაჰქონდა თქმულებები და ლეგენდები გლეხური მოძრაობის ბელადთა შესახებ, რომლებმაც იარაღი აღმართეს მჩაგვრელთა წინააღმდეგ.

საუკუნოებით დაჩაგრული მშრომელი ხალხი ამ თქმულებებით გამოხატავდა თავის ზრახვებსა და მისწრაფებებს, სათუთად ნაზარდ ფიქრებს თავისუფლების შესახებ. აი ამიტომ იყო, რომ ეს ლეგენდები ხშირად იპყრობდნენ მწერლების, დრამატურგებისა და პოეტების ყურადღებას. ამ ლეგენდებით ხელმძღვანელობდა ილია ჭავჭავაძეც თავისი „კაკო ყაჩაღის“ შექმნის დროს.

„კაკო ყაჩაღის“ მუსიკა აკ. ანდრიაშვილს ეკუთვნის. ეს კომპოზიტორის პირველი დიდი მუსიკალურ-დრამატურგიული ნაწარმოებია. ოპერა დიდის გულწრფელობით არის დაწერილი. ავტორს უყვარს თავისი გმირები და ეს სიყვარული მას მრავალ მიმზიდველ მუსიკალურ ნაწყვეტებში აქვს ჩაქსოვილი. სითბო და ემოციურობა ჟღერს მთელი ნაწარმოებებიდან. ამაშია მისი ღირსება.

კომპოზიტორს მაყურებელზე ზემოქმედების ძირითად საშუალებად მელოდია აურჩევია. ავტორის მიერ ოპერა დაწერილია უპირველეს ყოვლისა, როგორც ვოკალური ნაწარმოები. მუსიკალური ენა ხალხურ სიმღერას ემყარება, მაგრამ ხალხური მოტივები ავტორს არსად არ გადმოაქვს ხელუხლებელი სახით. მისი შემოქმედება თავისუფალია. გამოსავალ წერტილად ამ შემოქმედებას ქართული ფოლკლორის ღრმა ცოდნა უდევს. „კაკო ყაჩაღის“ მუსიკა უბრალოა თავისი ფაქტურით, მაგრამ ნათლად და დამაჯერებლად გადმოგვცემს ადამიანის გრძნობათა მთელ მრავალფეროვანებას, მათ განვითარებასა და ცვალებადობას.

„კაკო ყაჩაღი“ საოპერო თეატრს მოფიქრებული აქვს როგორც ხალხურ - გმირული სპექტაკლი. ჩვენ გვინდა ვუჩვენოთ მაყურებელს, ერთის მხრივ, ფეოდალთა თავაშვებულება, ალვირახსნილობა, გლეხობისადმი არაადამიანური მოპყრობა, ხოლო მეორე მხრივ, ამ უმოწყალო ექსპლოატაციის საფუძველზე ღრტვინვის თანდათანობითი ზრდა ხალხში. ჩვენ გვინდა სპექტაკლის ფინალი ერთგვარი ხიდი იყოს თანამედროვეობისაკენ: პირველი გამარჯვებით აღფრთოვანებული აჯანყებულები მოუწოდებენ გლეხობას შემდგომი ბრძოლისაკენ, რომ იარაღით მოიპოვონ ადამიანური ცხოვრება და თავისუფლება.

თუ რამდენად შევძელით ეს, ამას სპექტაკლი გვიჩვენებს.

**გ. ჟურული**

რეჟისორი-დამდგმელი.

## მზია

მზია ხალხის გული და სახეა. ის ყველას საყვარელი ტიპია, მისი მუსიკალური სახე კრიალა და ლირიკულია. მთელს ოპერაში მზია თვალსაჩინო მომქმედ პირს წარმოადგენს. ამ როლის განსახიერებისათვის დიდი შრომა დამჭირდა, რამაც საშუალება მომცა შემესწავლა მზია და შემექმნა გარკვეული, ახალი ტიპი ჩვენი საოპერო თეატრისათვის. ჩემი მზია გულთბილი და საყვარელია. მისი ბუნება ჩემთვის გასაგებია და მისაწვდომი, ჩემი პირადი შემოქმედებაც აქედან გამომდინარეობს.

ამ როლის შესრულებას დიდი სიყვარულით მოველი.

**მერი ნაკაშიძე**

ორდენოსანი მსახიობი.

## ჩემი „კაკო ყაჩაღი“

როდესაც პირველად „კაკო ყაჩაღის“ ლიბრეტო გადავიკითხე, ვიგრძენი, რომ მისი გადამუშავების შემდეგ შეიძლებოდა ლამაზი ოპერის დაწერა. ამიტომ უპირველესად ყოვლისა შევუდექი ლიბრეტოს, ასე ვთქვათ, ჩემს ჭკუაზე დაყენებას.

მიუხედავად პატივცემული ლიბრეტისტის პროტესტისა, მე მომიხდა ლიბრეტოში, გარდა წვრილი ცვლილებებისა, სრულიად ახალი სურათებიც შემეტანა (მაგ. მე-III, IV, VII).

ამის შემდეგ მე ვიგრძენი სიყვარული ლიბრეტოსადმი. ამავე მომენტიდან ოპერის დაწერა ჩემთვის აუცილებლობად გადაიქცა.

ოპერა „კაკო ყაჩაღში“ მე ვეცადე ვოკალისა და სიმფონიზმის ერთმანეთზე გადაჯაჭვას. ხოლო იმისათვის, რომ ის თბილი და გასაგები ყოფილიყო, ვსცადე მუსიკის ნათელ და უწყვეტ მდინარებისათვის მიმეღწია. ამავე პრინციპით ვიხელმძღვანელე ორკესტრობაშიც.

ისეთ დიდ ფორმაში, როგორიც ოპერაა, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ენის სიწმინდეს და მთლიანობას. ამიტომ მე განსაკუთრებით ფრთხილად ვმუშაობდი ამ მხრივ.

მოქმედების სიმძლავრისათვის ვეცადე ყოველი ანსამბლი და განსაკუთრებით ცეკვები მჭიდროდ დამეკავშირებინა სიუჟეტთან, რათა არ გამოსულიყო ცეკვა ცეკვისათვის, დუეტი დუეტისათვის და სხვ.

ტიპების მკვეთრი მოხაზვისათვის მე ოპერაში ლეიტმოტივების პრინციპის მომხრე ვარ. ამიტომ „კაკო ყაჩაღში“ თავისუფლად გამოვიყენე ლეიტმოტივები.

მთელი მუშაობის მანძილზე მე ვცდილობდი ერთი წუთითაც არ მომეწყვიტოდი ხალხურ ინტონაციებს. უფრო მეტიც: ისეთი სიმღერები, როგორიც არის „გუშინ შვიდნი გურჯანელნი“, ან და „შიგჭიდილა“ მე დიდი მასშტაბით გამოვიყენე ოპერაში.

საერთოდ ის ფაქტი, რომ ილიას „კაკო ყაჩაღს“ ყოველი ქართველი ბავშვობიდანვე იცნობს და უყვარს იგი, მე მავალებდა დიდ პასუხისმგებლობას, რათა ოპერა ღირსეული გამოსულიყო.

ყოველივე ამას მალე შეამოწმებს ჩვენი მაყურებელი „კაკო ყაჩაღის“ სცენაზე მოსმენით.

**ა. ანდრიაშვილი**

კომპოზიტორი.

## „კაკო ყაჩაღის“ ლიბრეტო

ჩემთვის წარმტაცი იყო იდეა ქართული სიტყვის ოსტატის ილია ჭავჭავაძის პოეტური მემკვიდრეობის საფუძველზე შექმნილიყო რაიმე საოპერო ნაწარმოები.

მთავარი ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რომ შეგვექმნა სრული ზომის ისეთი ლიბრეტო, რომელშიაც ამეტყველდებოდნენ ილიას საყვარელი გმირები. გადავწყვიტე მთავარ გმირად კაკო ყაჩაღი გამომეყვანა და პიესა შემევსო დრამატიულად საჭირო სხვა სახეებით, რომელთათვის მასალა მრავლად არის „გლახის ნაამბობში“, „კაცია-ადამიანში“, „განდეგილში“, „აჩრდილში“ და ილიას სხვა ნაწარმოებებში.

ამ მუშაობაში ვცდილობდი არ დავცილებოდი ილიას არც თემატურად, და, რამდენადაც შესაძლებელი იყო, არც ტექსტობრივად.

პიესის ფონს წარმოადგენს გლეხობის ყოველდღიური ცხოვრება მისი ჭირვარამითა და ლხინით. ყოფაცხოვრებითი სურათების შექმნამ შესაძლებელი გახადა ფართოდ გამოყენებულიყო მდიდარი ქართული პოეტური და მუსიკალური ფოლკლორი.

საჭირო იყო ხმებში, ფერებსა და მოძრაობებში მოცემულიყო მხატვრულად ნამდვილი სახეები. კომპოზიტორ ანდრიაშვილს ეს ამოცანა დამაჯერებლად აქვს გადაჭრილი. მან მოახერხა ილია ჭავჭავაძის გმირების ხასიათების გახსნა მუსიკალური ენით. ვფიქრობ, რომ ეს ოპერა ღირსეული მიძღვნაა დიდი ილიას ხსოვნისა და შემოქმედებისადმი.

**გ. იმედაშვილი**

## კახეთის ბუნება

მე დავიბადე ყვარელში, ილია ჭავჭავაძის სახლში. ყრმობა კახეთში გავატარე, ჩემს სამშობლო კუთხეს და მის ბუნებას კარგად ვიცნობ. ამიტომ ილიას კლასიკური პოემა „კაკო ყაჩაღი“ ჩემთვის ერთობ ახლობელია.

დიდი კმაყოფილებით შევუდექი ილიას პოემის მიხედვით ა. ანდრიაშვილის მიერ დაწერილი ოპერის დადგმის მხატვრულ გაფორმებას. მუსიკის გაცნობამ დამარწმუნა, რომ კომპოზიტორს უხვად გამოუყენებია ხალხური ინტონაციები. ყველაფერი ეს დიდად დამეხმარა ოპერის მხატვრულ გაფორმებაში.

განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდი კახეთის მდიდარი ბუნების კოლორიტის სწორად გადმოცემას, ვცდილობდი ფერების ისე შერჩევას, დეკორაციების ისე გაკეთებას, რომ მხატვრული გაფორმება მთელი სპექტაკლის იდეურ - მხატვრული მიზანდასახულების ორგანიული ნაწილი გამხდარიყო.

პროფესორი

**ვ. სიდამონ-ერისთავი**

## შესანიშნავი ქართული ოპერა

ოპერა „კაკო ყაჩაღი“ ჩვენს საოპერო ხელოვნებაში უთუოდ თვალსაჩინო მოვლენაა. მასზე, როგორც ახალ ნაწარმოებზე, დიდი მუშაობა დაგვჭირდა. მუშაობის პროცესმა გამოარკვია ზოგიერთი უხერხულობანი, რაც შესწორებულ და შევსებულ იქნა. ვოკალურ მხარეს დიდი ყურადღება მივაქციეთ, რათა ყოველი ბგერა ნათელი და გასაგები ყოფილიყო. დაგვჭირდა ნოტების აწევა მაღალ ფენებში და ორკესტრის განტვირთვა მეტი ხმოვანებისაგან. მსახიობებმა კეთილსინდისიერად შეითვისეს თავიანთი როლები.

ამ ოპერის ენა მთლიანად ხალხურია და ამიტომ მაყურებელთათვის ადვილი მისაწვდომია. პირდაპირ ხალხური შემოქმედებიდან შეტანილია ოპერაში ორი-სამი საგუნდო სიმღერა.

ოპერის შესანიშნავი ადგილებია: კაკოს, ნინოსა და ზაქროს არიები და მზიას ტირილი. ბრწყინვალედ გამოკვეთილია კვარტეტი მეორე სურათში. მონუმენტალურად ჟღერს ფინალური გუნდი მესამე აქტში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია თავისი მხატვრობითა და შემოქმედებით II და VII სურათი. ცეკვების მუსიკა კარგად არის მოცემული.

ოპერის უვერტიურა მოცემულია დიდი განცდითა და სულიერი სისავსით, მასში ჩაქსოვილია ღრმა დრამატიზმი.

ეს ოპერა ჩვენი თეატრის რეპერტუარში განსაკუთრებულ ადგილს დაიჭერს.

**ო. დიმიტრიადი**

დირიჟორი.

## ნინო

ნინო საყვარელი როლია ჩემს საოპერო შემოქმედებაში. ის აღსავსეა ადამიანური გრძნობებით, მასში ძლიერია სიყვარულის განცდები. ნინოს უყვარს კაკო და მისი საქმე, ამ საქმისათვის თავდადებულია და წამებასაც არ ერიდება ხალხის ინტერესებისათვის. ყველა ამან ძლიერ შემაყვარა ნინოს ტიპი და მისმა მუსიკალურმა სახემ უფრო შემაერთა ამ როლთან, რომელზეც გულწრფელად ვიმუშავე. მე მიყვარს ეს როლი, მიყვარს მისი მუსიკალური ენა. ვფიქრობ, ჩემი ნინო დასამახსოვრებელ სახედ გადაიქცევა.

**ნ. ცომაია**

ორდენოსანი მსახიობი.

## კაკო

როცა კაკოს როლის შესრულება მომანდეს, უდიდესი კმაყოფილება ვიგრძენი: კაკო ჯერ მოწაფეობიდან მიყვარდა. პირველ დღეს, როცა პარტიის შესწავლას შევუდექი და ჩემი როლი თავიდან ბოლომდე გავსინჯე, უდიდესი სიყვარული დამებადა იმ მუსიკისადმი, რომელიც გამოჰკვეთს კაკოს უკვდავ სახეს. ეს მუსიკა ისე შევისისხლხორცე, თითქოს ჩემი განუყრელი მეგობარი იყოს. ეს როლი ჩემს შემოქმედებაში ერთერთი საუკეთესოთაგანია. დღიდან პარტიის სწავლისა, ერთი წუთითაც არ შემიწყვეტია ამ როლის სახის შექმნისათვის ფიქრი და ვიმედოვნებ, რომ სრულიად ნათლად განვასახიერებ მის არსს.

**პ. ამირანაშვილი**

ორდენოსანი მსახიობი.

## ზაქრო

თანდათანობითმა მუშაობამ დამანახვა, რომ ზაქროს როლი მუსიკალურად მდიდარია. დავრწმუნდი, რომ მე შევძლებდი ამ როლის განსახიერებას, რადგანაც იგი კარგად არის შესრულებული ვოკალურად. ზაქროს სახე ისე კარგად არის მოცემული, რომ ყოველ მსახიობს აღეძვრება წყურვილი შეასრულოს ეს როლი. იგი გმირია, ბატონყმური უთანასწორობის წინააღმდეგ მებრძოლი, და მას უყვარს ხალხი. მან მოჰკლა თავისი მამის მკვლელი და შემდეგ გაიჭრა ყაჩაღად, კაკოსთან, რომ მასთან ერთად ებრძოლნა მტარვალთა წინააღმდეგ. ყველაფერი ეს მუსიკაში გულწრფელად არის მოცემული და მეც შევეცადე ამის განსახიერებას. ვფიქრობ, სწორად მაქვს გაგებული ზაქროს როლი. ჩემი ზაქრო იქნება გულწრფელი და საყვარელი თავისი ლირიკული ბუნებით. ვფიქრობ ზაქროს სახე დაუვიწყარი იქნება მაყურებლისათვის.

**დ. ანდღულაძე**

ორდენოსანი მსახიობი.

ოპერა „კაკო ყაჩაღი“. მე-4 მოქმედება.

# ოპერის მოკლე შინაარსი

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი სეზონის პირველ პრემიერად დღეს სდგამს ოპერა „კაკო ყაჩაღს“, რომლის ლიბრეტო ეკუთვნის გ. იმედაშვილს და მუსიკა — ა. ანდრიაშვილს. ოპერის მოკლე შინაარსი ასეთია:

### I მოქმედება

**1 სურათი.** სოფლის განაპირა ადგილას მოთამაშე ბიჭებთან მიდის ზაქრო, რომელიც იგონებს სიყრმეს და ნაღვლობს თავის მონურ მდგომარეობას. გულს უხარებს მზიას სიყვარული. მზიაც მოვიდა. შეყვარებულებს ეშინიათ, რომ ბატონი არ დასთანხმდება მათს შეუღლებაზე. შემოდიან ყანიდან დაბრუნებული გლეხები. ზაქრო და მზია მიიმალებიან. მათ თვალს მოჰკრავს ბატონის ჯაშუში ჩხეტია, რომელიც გლეხებს აცნობებს ზაქროს და მზიას სიყვარულის ამბავს. დაუძახებენ ახალგაზრდებს. ზაქროს მამა დალოცავს შეყვარებულებს, ჩხეტია კი, რომელსაც თვითონ უნდა ხელთ იგდოს მზია, გაიქცევა ბატონთან დასაბეზღებლად.

**2 სურათი.** ბატონი ნადირობიდან დაბრუნებულ სტუმრებს ეგებება. ჩხეტია დროს შეურჩევს და მზიას სთხოვს ცოლად. ბატონი თანახმაა, ოღონდ პირველ ღამეს ქალი მისი უნდა იყოს. ჩხეტია უარის თქმას ვერ ბედავს.

შემოდიან მზია, ზაქრო, მამამისი და მზიას მეგობარი ქალი. მამა სთხოვს ბატონს შვილის განთავისუფლებას. ბატონი უბრძანებს მოხუცის გაწკეპლვას. მამა მოკვდება წკეპლების ქვეშ. აღშფოთებული ზაქრო ბატონს მოჰკლავს და გაიქცევა კაკო ყაჩაღთან.

### II მოქმედება

**3 სურათი.** ღამე. ალაზნის ველი. მეურმეს შეხვდება ზაქრო და კუდიგორის გზას იკითხავს. მეურმე უჩვენებს.

**4 სურათი.** ტყე. კაკო ფიქრობს იმ ბედნიერ დღეზე, როცა მშრომელი ხალხი თავისუფლებას მოიპოვებს. შემოდის ზაქრო, რომელიც უამბობს თავგადასავალს. ისინი დამეგობრდებიან.

**5 სურათი.** გზა ტყეში. კაკო და ზაქრო ჩასაფრდებიან. ჩაფრებს მოჰყავთ ტატე და გლეხები, რომლებსაც გადასახლება ელით. შეისვენებენ. ტატე ჩონგურზე ამღერებს, თუ რა დღე დაადგა სოფელს ბატონის მოკვლის შემდეგ. ჩაფრები და პატიმრები წასასვლელად ემზადებიან. ამ დროს გადმოხტებიან კაკო და ზაქრო. შემოდის თავადი მხლებლებით. შეშინებული თავადი დასთანხმდება კაკოს მოთხოვნაზე გაათავისუფლოს პატიმრები და თავი დაანებოს მზიას, ოღონდ სიცოცხლე შეუნარჩუნონ. კაკო გაათავისუფლებს თავადს, რომელიც ფიცით ადასტურებს მიცემულ სიტყვას.

### III მოქმედება

**6 სურათი.** კუდიგორა. აჯანყებულთა ბანაკი. შემოდის უცნობი და კაკოსთან დარჩება პირისპირ. უცნობი კაკოს სატრფოა, ნინო. კაკო აუხსნის ნინოს, რომ მისმა ბატონმა ფიცი დაარღვია და უნდა მოკვდეს. ნინო აუხსნის სატრფოს, რომ ბატონმა ჯარი მოიწვია დასახმარებლად და დაპირდება ციხე-სიმაგრის საიდუმლო კარების გასაღების შოვნას.

ამ დროს შემოძვრებიან ჩხეტია და იასაული. ეს უკანასკნელი კაკოს ეპარება ხანჯლით, მაგრამ ზაქროს ტყვიით განგმირული დაეცემა. შემოვლენ აჯანყებულები და სთხოვენ კაკოს დაუყოვნებლივ გაუძღვეს ბატონზე გასალაშქრებლად.

**7 სურათი.** სარდაფის კუთხეში გდია ნაცემი ნინო. შემოდის ჩხეტია და მოითხოვს ნინოსაგან უჩვენოს სად არის საიდუმლო გასაღები. ნინო უარზეა. ჩხეტია მუქარით გადის. შემოდის მზია და აცნობებს ნინოს, რომ ხვალ აჯანყებულები ციხეს აიღებენ და გადასცემს მას პატარა ხანჯალს.

შემოდის ჩხეტია ჩაფრებით და უბრძანებს ნინოს გაჰყვეს ბატონთან. ნინო ხანჯლით ჰკლავს ჩხეტიას. შემოვარდება თავადი და უბრძანებს ჩაფრებს აწამონ ნინო.

### IV მოქმედება

**8 სურათი.** თავადის ეზო გალავნით. ღამის ქეიფი გრძელდება. თავადი უბრძანებს მასხარას სტუმრების გართობას. ისიც ორაზროვან შაირებს ამბობს. თავადი მიუხვდება, მაგრამ არ იმჩნევს და უბრძანებს გლეხებს ცეკვას. გლეხები ცეკვავენ „ფუნდრუკს“. ცეკვას ჭიდაობა მოჰყვება. გასართობით გატაცებულნი ვერ ამჩნევენ როგორ შემოიჭრებიან ეზოში აჯანყებულნი, აჰყრიან იარაღს თავადებს და ათავისუფლებენ პატიმრებს. ბრძოლის დროს დაიღუპება ზაქრო. მზია და ხალხი დასტირიან ზაქროს. ხალხი გაიყვანს გვერდზე თავადს და ქვებით ჩაჰქოლავს. გამარჯვებით აღფრთოვანებული აჯანყებულები მოუწოდებენ ხალხს ახალი ბრძოლებისაკენ.

## გაწვევა წითელ არმიაში

# გაწვევის შედეგები საქართველოს სს რესპუბლიკაში

### (საუბარი საქ. სსრ სამხედრო კომისარიატის პოლიტპროპაგანდის განყოფილების უფროსთან ამხ. ო. მუსერიძესთან)

მშობლიურ მუშურ-გლეხურ წითელ არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტში მორიგი გაწვევა საქართველოს სს რესპუბლიკაში დაიწყო და დროზე დამთავრდა, თანახმად სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის საბჭოთა კავშირის მარშლის ამხ. ს. ტიმოშენკოს ბრძანებისა.

ორდენოსანი საქართველოს ახალგაზრდა პატრიოტები გაწვევის პერიოდში უდიდეს სიხარულსა და აღფრთოვანებას გამოსთქვამდნენ მათი წითელ არმიაში გაწვევის გამო. გასულ წლებთან შედარებით მიმდინარე წელს მორიგი გაწვევა უფრო მეტი ორგანიზებულობითა და მაღალ პოლიტიკურ დონეზე ჩატარდა, რასაც ხელი შეუწყო საქართველოს სს რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სამხედრო კომისარიატების სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმამ.

მიმდინარე წლის მორიგი გაწვევისათვის მზადების პერიოდში დიდი მუშაობა ჩაატარეს ადგილობრივმა პარტიულმა, კომკავშირულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და სხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, რის შედეგაც მშობლიურ მუშურ-გლეხურ წითელ არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტში საქართველოდან წარგზავნილ იქნენ საბჭოთა სკოლებში აღზრდილი კუნთმაგარი, სამხედრო ცოდნას დაუფლებული, სტახანოველები და სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანები. ნამდვილ სამხედრო სამსახურში ჩარიცხულთაგან საკ. კ. პ. (ბ) წევრები და კანდიდატები შეადგენენ 1,9 პროცენტს, ნახევარზე მეტი— (55 პროც.) კომკავშირელებია, საშუალო განათლებით—40 პროც., ხოლო მათი ნაწილი—უმაღლესი განათლებით არის.

წითელ არმიაში გაწვეულთა შორის ბევრია მფრინავი, მეტყვიამფრქვევე, პარაშუტისტი, რომლებმაც წარმოებიდან მოუწყვეტლად დაამთავრეს აღნიშნული პროფესიის სკოლები. მათ უმრავლესობას მკერდს უმშვენებს თავდაცვის სხვადასხვა ნიშნები. გასულ წელთან შედარებით ვოროშილოვისებურ მსროლელთა რაოდენობა 17,5 პროც. მეტია, მშთ ნიშნოსანი—10 პროც., მსთ—30,5 პროც., ხოლო მსქთ-ს ნიშნოსანი — 27,3 პროცენტით მეტი.

მიმდინარე წლის მორიგი გაწვევის პერიოდში კარგად მუშაობდნენ და მოწინავეთა რიგებში ითვლებიან ორჯონიკიძის (ყოფ. ხარაგოულის) რაიონი (სამხედრო კომისარი ამხ. ი. დვალიშვილი), რომელმაც 1939 წელს გარდამავალი დროშა მიიღო გაწვევის სანიმუშოდ ჩატარებისათვის, ახალქალაქის (კომისარი ამხ. ს. ვოვსაძე), სოხუმის (კომისარი ამხ. ს. გრიგორიანი), თბილისის—ბერიას (კომისარი ამხ. ვ. ღლონტი) და კიროვის (კომისარი ამხ. მ. მექვაბიშვილი) სახელობის რაიონები და სხვ. აღნიშნული რაიონების სამხედრო კომისარიატებს მუშაობაში სანიმუშოდ ეხმარებოდნენ ადგილობრივი პარტიული, კომკავშირული კომიტეტები, პროფკავშირული ორგანიზაციები და რაიგაზეთები.

— მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებში გაწვევის დღეები,—განაცხადა ჩვენს თანამშრომელთან საუბარში ამხ. მუსერიძემ,—მთელი ჩვენი ხალხის, განსაკუთრებით ახალწვეულთა მშობლების, დებისა და ძმების არაჩვეულებრივი სიხარულისა და აღფრთოვანების დღეებად იქცა. ბევრია ფაქტები იმისა, რომ რაიონის სამხედრო კომისარიატებმა და საქ. რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატმა ახალგაზრდებისაგან მიიღო განცხადებები ჯარში ვადაზე ადრე გაწვევის შესახებ, ბევრნი უარს აცხადებდნენ მათთვის კანონით მიკუთვნებულ შეღავათებზე. არასრული ცნობებით სამხედრო სამსახურში პირველ რიგში გამგზავრების შესახებ შემოსულია 1632 ახალწვეულის განცხადება.

გამწვევი კომისიების სახელზე შემოსულია აგრეთვე მშობლების უამრავი განცხადება, ისინი დაჟინებით მოითხოვენ, რათა მათი შვილები აუცილებლად ჩარიცხონ წითელი არმიის რიგებში, რათა მათ მოიხადონ საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა საპატიო მოვალეობა.

გაწვევის პირველი ეტაპი, მართალია, კარგი მაჩვენებლებით დავამთავრეთ, მაგრამ ჩვენს წინაშე მორიგ საკითხად დგას მეტად საპასუხისმგებლო ამოცანა, რომ საბჭოთა, და კერძოთ საქართველოს ახალგაზრდა პატრიოტები, რომლებიც უკვე ჩარიცხული არიან წითელი არმიის რიგებში, სამხედრო ნაწილებში გავაცილოთ ორგანიზებულად და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 4 ოქტომბრის ბრძანებულებათა შესაბამისად. ამიტომ საქართველოს სსრ ყველა ქალაქისა და რაიონის სამხედრო კომისარიატებს ევალებათ, როგორც გაწვევის სამზადისის, ისე გაცილების სანიმუშოდ ჩატარება.

# პოლიტიკური უთანხმოებანი ავსტრალიაში

**ნიუ-იორკი,** 17 ოქტომბერი (საქდესი). როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" იტყობინება, ავსტრალიის ლეიბორისტულმა პარტიამ თავის ხელმძღვანელად ხელახლა აირჩია კერტენი. კერტენი, რომელიც ცდილობს მიაღწიოს გაერთიანებას, ეთათბირა „ავსტრალიის (არაკომუნისტური) ლეიბორისტული პარტიის" ლიდერს ბიზლის. როგორც სჩანს, ლეიბორისტული პარტიის ხელმძღვანელთა უმრავლესობა თანახმაა ლეიბორისტული პარტიის რიგებში მიიღოს „ავსტრალიის (არაკომუნისტური) ლეიბორისტული პარტია", თუ იგი ლეიბორისტებს მხარს დაუჭერს პარლამენტის სესიაზე.

მთავრობის მომხრე ფერმერთა პარტიის ხელმძღვანელმა კამერონმა ამ პარტიის ყოფილი ხელმძღვანელი პეიჯი გაგზავნა პრემიერ-მინისტრ მენზისთან მოსალაპარაკებლად იმის შემდეგ, რაც ხმები გავრცელდა, რომ პეიჯს განზრახული აქვს დაეხმაროს ლეიბორისტებს, რათა თავიდან მოიშორონ მენზისი. მოლაპარაკების შემდეგ პეიჯმა გამოაცხადა, რომ იგი სავსებით უჭერს მხარს მენზისს. მოელიან, რომ მენზისი პეიჯს შესთავაზებს მინისტრის პორტფელს. მენზისმა წინადადება მისცა ორივე პალატას შეიკრიბონ დახურულ სხდომაზე, რათა მოისმინონ მოხსენება სამხედრო მდგომარეობის, ავსტრალიის საშინაო პრობლემებისა და ყველა პარტიის თანამშრომლობის შესახებ. ლეიბორისტული პარტია ნაციონალურ მთავრობაში თავისი მონაწილეობის საკითხს არ გადასწყვეტს პარლამენტის დახურული სხდომის დამთავრებამდე. ამ სხდომის მოწვევას ლეიბორისტები დიდი ხანია ცდილობდნენ. ფერმერთა პარტიის ხელმძღვანელის არჩევნებს დიდი მნიშვნელობა აქვს. ზოგიერთი ლეიბორისტი მოიწონებდა პეიჯის ან საგარეო საქმეთა და მრეწველობის მინისტრის მაკ ეუენის არჩევას კამერონის ნაცვლად, რომელიც ლეიბორისტების გააფთრებული მოწინააღმდეგეა.

* * *

„ავსტრალიის (არაკომუნისტური) ლეიბორისტული პარტია" ლეიბორისტულ პარტიას ჩამოშორდა ახალი სამხრეთ უელსის შტატის ლეიბორისტული ორგანიზაციის ყოველწლიურ კონფერენციაზე, რომელიც 1940 წლის მარტში ჩატარდა. იგი საბოლოოდ ჩამოყალიბდა აპრილში. გათიშვის ინიციატორი იყო ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი ლანგი.

**ლონდონი,** 17 ოქტომბერი (საქდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, ავსტრალიის პრემიერ-მინისტრმა მენზისმა მოიწვია ყველა პარტიის ხელმძღვანელთა თათბირი მტკიცე მთავრობის შექმნის საკითხის განსახილველად. ეს თათბირი მოწვეულია იმასთან დაკავშირებით, რომ პარლამენტის საყოველთაო არჩევნებში მთავრობის პარტიამ მხოლოდ 2 მანდატით მეტი მიიღო, ვიდრე ყველა დანარჩენმა პარტიებმა. ამრიგად, ავსტრალიის პარტიებმა არ მოისურვეს თანამშრომლობა ნაციონალური მთავრობის შექმნის საქმეში. მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა იმან, რომ ფერმერთა პარტიის შიგნით უთანხმოებაა პარტიის ლიდერის არჩევის საკითხში. ეს უთანხმოება გათიშვის საფრთხეს ჰქმნის პარტიაში. დიდი უთანხმოება არსებობს აგრეთვე ოფიციალურ ლეიბორისტულ პარტიასა და „ავსტრალიის (არაკომუნისტურ) ლეიბორისტულ პარტიას" შორის. გუშინ მენზისმა მოხსენება გააკეთა ყველა პარტიის წარმომადგენელთა დახურულ თათბირზე. თათბირის შემდეგ მენზისმა განაცხადა, რომ იგი გამოვიდა ავსტრალიის სამხედრო პოლიტიკას მიმოხილვით. შემდეგი სხდომა, სთქვა მენზისმა, 17 ოქტომბერს შესდგება და ამ სხდომაზე იგი გააკეთებს მოხსენებას ავსტრალიის თავდაცვის მდგომარეობის შესახებ.

# ამერიკის შეერთებული შტატებიდან ლითონის ჯართის გაზიდვის აკრძალვა

**ნიუ-იორკი,** 17 ოქტომბერი (საქდესი). გუშინ ძალაში შევიდა ამერიკის შეერთებული შტატებიდან რკინისა და ფოლადის ჯართის გაზიდვის აკრძალვა. როგორც ცნობილია, ამერიკის ლითონის ჯართის ყველაზე დიდი მყიდველი არის იაპონია.

ჟურნალი „აირონ ეიჯი" იუწყება, რომ ამ წლის პირველი 8 თვის განმავლობაში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა იქ გაზიდეს 662 ათასზე მეტი ტონა ჯართი; შარშან ამავე პერიოდში კი — გაზიდული იყო 1.286 ათასი ტონა.

# მფრინავთა მომზადება ამერიკის შეერთებულ შტატებში

**ნიუ-იორკი,** 17 ოქტომბერი (საქდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამჟამად ფართოვდება მფრინავთა კადრების მომზადების შესაძლებლობა, რის შედეგადაც ამერიკის შეერთებული შტატები შესძლებენ წლის განმავლობაში მოამზადონ 25 ათასი მფრინავი. ივლისიდან, როდესაც მფრინავთა მომზადების დასახული პროგრამის განხორციელება დაიწყო, ყოველ ხუთ კვირაში საფრენოსნო საქმის შესწავლას იწყებდა დაახლოებით 1.200 კაცი. ახლა საფრენოსნო საქმეს 4.800 კაცი სწავლობს. მომავალი მფრინავები თავდაპირველად სწავლების მოსამზადებელ კურსს გადიან, რასაც ორნახევარი თვე ესაჭიროება, შემდეგ კი ისინი იგზავნებიან საფრენოსნო საქმის უფრო სერიოზულად შესწავლისათვის.

# შვეციის მთავრობის ღონისძიებანი

**სტოკჰოლმი,** 17 ოქტომბერი (საქდესი). შვეციის მთავრობის განკარგულებით, რომელიც გუშინ გამოქვეყნდა, შვეციაში აკრძალულია ჭვავის, ხორბლის, ქერის, შვრიის, ცერცველისა და საკვებ პარკოსანთა მთელი იმ მარაგის გაყიდვა, რომელიც კერძო პირებს ეკუთვნის. მარცვლეულისა და საკვების მარაგი, რაც 100 კილოგრამს აღემატება, აღრიცხულ უნდა იქნას.

# სამხედრო ვალდებულთა რეგისტრაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში

**ნიუ-იორკი,** 17 ოქტომბერი (საქდესი). გუშინ ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიწყო 21-36 წლის ასაკის სამხედრო ვალდებულთა რეგისტრაცია. რეგისტრაცია უნდა გაიაროს სულ დაახლოებით 16,5 მილიონმა კაცმა. 22 საათზე ადგილობრივი დროით რეგისტრირებულია 14 მილიონი კაცი.

იმ პირებმა, რომლებმაც რეგისტრაცია გაიარეს, სამხედრო ბეგარა უნდა მოიხადონ 1945 წლის 15 მაისამდე, როდესაც დამთავრდება სამხედრო ბეგარის კანონის მოქმედების ვადა. არმიაში გაწვეულნი სამხედრო მომზადებას გაივლიან ერთი წლის განმავლობაში, შემდეგ კი თადარიგში გადაირიცხებიან 45 წლამდე. ოფიციალური წრეები აცხადებენ, რომ რუზველტმა უკვე დანიშნა ადგილობრივი მიმღები კომისიები. ეს კომისიები განიხილავენ ინდივიდუალურ განცხადებებს ჯანმრთელობის მდგომარეობის, წვრილშვილიანობისა და სხვა მიზეზების გამო სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ.

# ამერიკის საავტომობილო მრეწველობის მეწარმეთა ასოციაციის გადაწყვეტილება

**ნიუ-იორკი,** 17 ოქტომბერი (საქდესი). როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" იუწყება, საავტომობილო მრეწველობის მეწარმეთა ასოციაციამ მიიღო რეზოლუცია თავდაცვის პროგრამის შესრულების საქმეში თანამშრომლობის შესახებ. გადაწყვეტილია ავტომობილთა ახალ მოდელებში შესატანი ცვლილებები შეუგუონ თავდაცვის მოთხოვნილებებს, აგრეთვე გამოუშვან ტანკებისა და თვითმფრინავების წარმოებისათვის საჭირო ინსტრუმენტები, ტვიფრები და სხვა მოწყობილობა. რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ საავტომობილო მრეწველობამ 500 მილიონი დოლარის დაკვეთა მიიღო საავიაციო მოტორების, ტანკების, ტყვიამფრქვევებისა და სხვა სამხედრო საჭურველის დამზადებაზე. ნაციონალური თავდაცვის კომისიის წევრმა კნუდსენმა ნიუ-იორკში წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა, დაზგების მასობრივი წარმოების ნაკლებობა სამხედრო მრეწველობის ნაყოფიერებას ზღუდავსო. მისი სიტყვით, წელს გამოშვებულ იქნება 500 მილიონი დოლარის დაზგა მაშინ, როცა 1932 წელს 132 მილიონი დოლარისა დამზადდა.

# სამოქალაქო ურჩობის კამპანია ინდოეთში

**ლონდონი,** 17 ოქტომბერი (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ბომბეიდან იუწყება, 17 ოქტომბერს, დილით, დაიწყო ინდივიდუალურ სამოქალაქო ურჩობის კამპანია.

განდის ერთერთმა მიმდევარმა ვინობამ კამპანია დაიწყო ომის საწინააღმდეგო სიტყვით პატარა სოფელ პაუნარში (ნაგპურიდან 7 მილზე); მის გამოსვლას 300 კაცი დაესწრო.

# მდგომარეობა სამხრეთ-დობრუჯაში

**სოფია,** 17 ოქტომბერი (საქდესი). გუშინ ბულგარეთის მინისტრთა საბჭომ გადაწყვეტილება გამოიტანა სამხრეთ-დობრუჯაში დამოუკიდებელი ადმინისტრაციული მმართველობის ლიკვიდაციისა და 21 ოქტომბრიდან შუმლის ოლქთან დროებით მისი შეერთების შესახებ.

შუმლის ოლქის დირექტორის (გუბერნატორის) და სხვადასხვა საოლქო უწყებათა ხელმძღვანელების დასახმარებლად დროებით მივლინებულ იქნენ სპეციალური თანაშემწენი. დობრუჯაში წინათ დანიშნული ყველა კომისარი, იმათი გამოკლებით, რომლებიც მოსავლის აღებასა და გადასახლებას განაგებენ, გაწვეულ იქნება.

მინისტრთა საბჭომ ნება დართო 21 ოქტომბრიდან სამხრეთ-დობრუჯაში თავისუფალ შესვლისა და გასვლისა ბულგარეთის ფარგლებში.

გადასწყვიტეს სამხრეთ-დობრუჯაში მოსავლის აღებისათვის შრომითს რაზმებში დამატებით გაიწვიონ 5.000 კაცი და მობილიზებულ იქნას 1.000 მანქანა.

გაზეთი „ზორა" იუწყება, რომ ბულგარეთისა და რუმინეთის მთავრობებს შორის მიღწეული შეთანხმების მიხედვით, ჩრდილოეთ-დობრუჯიდან ბულგარელების გადასახლება ამ კვირაში დაიწყება.

# ასენოვგრადში შეიქმნა ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოება

**სოფია,** 17 ოქტომბერი (საქდესი). როგორც გაზეთი „ვოლია" იუწყება, 11 ოქტომბერს ასენოვგრადში გაიმართა ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოების დამფუძნებელი კრება. საზოგადოების ამოცანების შესახებ მოკლე სიტყვა წარმოსთქვა ადგილობრივმა ადვოკატმა ივანე ბოჟკოვმა, რის შემდეგ კრებამ აირჩია საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოები. საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულია ადვოკატი ს. კაფლჯიევი, მდივნად — ადვოკატი ათანასე კოლევი. კრებამ აირჩია აგრეთვე სარევიზიო კომისია.

# მოკლე ცნობები

⊙ ლონდონში სიტყვა წარმოსთქვა სასურსათო მომარაგების მინისტრმა ვულტონმა, რომელმაც განაცხადა, რომ მომავალ წელს ინგლისის მოსახლეობა სურსათით უზრუნველყოფილ იქნება. შესაძლებელია პროდუქტების არჩევანი დიდი არ იქნესო.

⊙ 15 ოქტომბრიდან საპონსა და საპნის ფხვნილს ფინეთში იძლევიან ბარათებით—250 გრამს მიმდინარე წლის ბოლომდე.

⊙ დანიაში მცენარის დაცვენილი ფოთლებისაგან ამზადებენ ბრიკეტებს. ბრიკეტების მოთხოვნილება განსაკუთრებით დიდია გაზგენერატორულ საბარგო ავტომობილთა მფლობელების მხრივ, რადგან ეს ბრიკეტები წვას დროს ფისს არ იძლევა.

17 ოქტომბერი (საქდესი).

ქედის რაიონის სოფ. ზესოფლის კოლმეურნეობა „აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ათი წლისთავი". კოლმეურნე ემინე ბერიძე ყურძენს ჰკრეფს. (საქდესის ფოტოქრონიკა).

# ი. გოგებაშვილის დაბადების 100 წლისთავისათვის

**მახარაძე,** (საქდესი). მახარაძის რაიონის მშრომელები ემზადებიან სახელგანთქმული ქართველი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად. რაიონული საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით, შექმნილია რაიონული საიუბილეო კომისია.

ასეთივე კომისიები შეიქმნა ყველა საშუალო სკოლაში. მოწაფეთა შორის ტარდება საუბრები იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, ეწყობა მის ნაწარმოებთა კითხვა.

ოქტომბრის დამლევს შესდგება იაკობ გოგებაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო.

# საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში

26 ოქტომბერს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი თავის კლუბში მართავს გამოჩენილი ქართველი პედაგოგის, პუბლიცისტისა და მწერლის ი. ს. გოგებაშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოს.

საღამოს შესავალი სიტყვით გახსნის საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. ირ. აბაშიძე.

მოხსენებას თემაზე „ი. გოგებაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა" გააკეთებს პროფ. გ. თავზიშვილი.

მოგონებებითა და სიტყვებით გამოვლენ შ. დადიანი, ლ. ქიაჩელი, შ. რადიანი, ნ. ნაკაშიძე, ი. გრიშაშვილი, თ. სახოკია, დ. ბენაშვილი, გ. კაჭახიძე, ლ. მეტრეველი, ი. სიხარულიძე, ვ. გორგაძე, რ. ქორქია. (საქდესი).

# საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ნაშრომები

დაიბეჭდა და გამოვიდა საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ნაშრომთა პირველი ტომი. ამ ტომში მოთავსებულია მუზეუმის ახალგაზრდა მეცნიერ თანამშრომელთა მონოგრაფიები აგრეთვე საარქივო დოკუმენტები.

წიგნში დაბეჭდილია შემდეგი სტატიები: ა. კრიხელისა „ბრეთის ბიბლიის საკითხისათვის", ი. პაპისმედოვისა „საქართველოს ებრაელთა ვაჭრობის საკითხისათვის" (1800-1864 წელი), მ. მამისთვალიშვილისა „ტერმინები: „ებრაელი", „ისრაელი" და „ურია", მ. შუკიანისა „საქართველოს ებრაელთა უფლებრივი მდგომარეობა XIX საუკუნეში" და, გარდა ამისა, ისტორიული დოკუმენტები პროფ. ნ. ბერძენიშვილის რედაქციით (საქდესი).

## ახალი „სალიტერატურო კრებული"

**ბათუმი,** (საქდესი). ბათუმისა და ქუთაისის მწერლები შეერთებული ძალით ფუშვებენ „სალიტერატურო კრებულს".

კრებული გამოვა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXIII წლისთავზე.

# შოფერების გადამზადება

ავტო-ტრანსპორტის მუშაკთა კავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტმა კარგი ინიციატივა გამოიჩინა. თბილისში არსებული 140 გარაჟში, რომელთა მუშაკებს საქალაქო კომიტეტი აერთიანებს, მოაწყო შოფერთა გადამზადება.

სპეციალურად გამოყოფილი ლექტორები შოფერებთან მეცადინეობდნენ ქალაქში მოძრაობის წესების შესწავლაზე, ქუჩებში ხმაურობასთან ბრძოლის საკითხებზე და ავტო-ტრანსპორტის წარმატებითი მუშაობისათვის შოფერთა დისციპლინირების მნიშვნელობაზე. მეცადინეობა უკვე დამთავრდა გარაჟებში და ამის შედეგად ბევრად გაუმჯობესდა შოფერების მუშაობის ხარისხი: შემცირდა ავარიები და გაიზარდა ავტო-ტრანსპორტის მუშაობის ეფექტი.

ავტო-ტრანსპორტის მუშაკთა პროფკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის ამ გამოცდილებით საჭიროა ისარგებლონ სხვა სატრანსპორტო ორგანიზაციებმაც.

**ვ. ჯაგაევი.**

# მწერლების ჯგუფის ჩასვლა ქვემო-სვანეთში

**ლენტეხი,** 18 ოქტომბერი. აქ ჩამოვიდნენ მწერლები — გ. ქუჩიშვილი, ვ. გორგაძე, ს. წვერავა, რ. ქორქია და მ. პატარიძე. მათი მონაწილეობით ლენტეხში გაიმართა დიდი ლიტერატურული საღამო, რომელსაც 400-მდე კაცი დაესწრო.

საღამოზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. ს. წვერავა. მისი მოხსენების თემა იყო — „ბელადის სახე ქართულ მწერლობაში". მოხსენების შემდეგ ბელადისადმი მიძღვნილი ლექსები, პოემები და მოთხრობები წაიკითხეს გ. ქუჩიშვილმა, ვ. გორგაძემ, მ. პატარიძემ და რ. ქორქიამ. საღამოში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ლენტეხის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა.

**მ. არდანიანი**

# ფრენბურთი

## საქ. ალკკ XX წლისთავის სახელობის ჯილდოები

თბილისში დამთავრდა შეჯიბრება ფრენბურთში საქ. ალკკ XX წლისთავის სახელობის ჯილდოზე. ვაჟთა გუნდებს შორის პირველი ადგილი დაიკავა სასპორტო საზოგადოება „მეცნიერებას" ოსტატთა გუნდმა. მეორე ადგილზე გამოვიდა წითელი არმიის საოლქო სახლის გუნდი.

ქალთა გუნდებს შორის პირველი ადგილი დაიკავა „მშენებელის" გუნდმა, მეორე — „მეცნიერებას" გუნდმა.

ამ დღეებში გამარჯვებულ გუნდებს ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა თბილისის კომიტეტი გადასცემს საქ. ალკკ XX წლისთავის სახელობის ჯილდოებს.

# ფეხბურთი

## „სპარტაკი" (მოსკოვი) — „სტახანოველი" (სტალინო)

17 ოქტომბერს მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ „სპარტაკის" და „სტახანოვეცის" ფეხბურთელთა გუნდები. მატჩი დამთავრდა სპარტაკელების გამარჯვებით ანგარიშით 2:1.

ხვალ, 20 ოქტომბერს მოსკოვში შესდგება მატჩი საკავშირო პირველობაზე თბილისის „დინამოს" და მოსკოვის „დინამოს" შორის.

თამაში, რომელიც ჩატარდება მოსკოვის დინამოს სტადიონზე, გადმოცემული იქნება რადიოთი დღის 2 საათიდან თბილისის დროით.

# ვოროშილოვის სახელობის კროსი

20 ოქტომბერს თბილისში ტარდება საბჭოთა კავშირის მარშლის კ. ე. ვოროშილოვის სახელობის ტრადიციული კროსი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ორდენოსანი საქართველოს დედაქალაქ თბილისის რამდენიმე ათასი სპორტსმენი. კროსში მონაწილეობას მიიღებენ წითელი არმიის, სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტსმენები, „მეცნიერება", „პიშჩევიკი", „სპარტაკი" და სხვა სასპორტო საზოგადოებანი. კროსის მონაწილეთა ყველაზე მეტი რაოდენობა ეყოლება სასპორტო საზოგადოება „დინამოს".

ძირითადი გადარბენის მარშრუტია 5.000 მეტრი მამაკაცებისათვის. თბილისის საუკეთესო მორბენალთა სტარტსა და ფინიშს მაყურებლები ნახავენ სტალინის სახელობის სანაპირო ქუჩაზე. მამაკაცთა დისტანციები განსაზღვრულია 5.000, 3.000, 1.000 მეტრით, ქალთა — 1.000 და 500 მეტრით. ყველა გადარბენის ფინიში დანიშნულია სტალინის სახელობის სანაპირო ქუჩაზე კარლ მარქსის ხიდთან. 5.000 მეტრზე მორბენალთა მარშრუტი გაივლის სტალინის სახელობის სანაპირო ქუჩას, საბჭოთა კავშირის გმირთა მოედანს, ლენინის ქუჩას, რუსთაველის სახელობის პროსპექტს, ჯორჯიაშვილის ქუჩას, ბროსეს ქუჩაზე გადახვევით.

კროსის დასაწყისი დილის 10 საათზე.

**ვლ. გინზბურგი.**

# „აყვავებული ბაღი" აჭარის თეატრში

19 ოქტომბერს აჭარის სახელმწიფო თეატრი მორიგ პრემიერად უჩვენებს ვ. მაისისა და ნ. კულიჩენკოს კომედიას — „აყვავებული ბაღი". დადგმა ეკუთვნის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს შ. ინასარს, მხატვრობა — დ. იმნაიშვილს, მუსიკა—ალ. ფარცხალაძის.

# ლექცია

19 ოქტომბერს, საღამოს 9 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტში საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლექტორთა ჯგუფის სხდომაზე განიხილავენ ამხ. **რომანოვსკის** ლექციას, თემაზე: **„ამხანაგ სტალინის ნაშრომის შესახებ — „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი".**

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ყველა ლექტორის დასწრება სავალდებულოა.

# პარტკალენდარი

**საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის სახელობის რაიკომის** საორგანიზაციო - საინსტრუქტორო განყოფილებაში სამი დღის ვადაში უნდა გამოცხადდნენ ამხანაგები: ნიკოლოზ სტეფანეს-ძე **ვარდიაშვილი,** სოფიო ტარასის-ასული **ბურდული** და ვლადიმერ იევანეს-ძე **აბრამიძე.**

**საქ. კ. პ. (ბ)** ცხაკაიას რაიკომი აცხადებს, რომ პარტსაკანდიდატო ბარათი № 1679949, გაცემული დიმიტრი თეიმურაზის-ძე **პერტაიას** სახელზე, და პარტსაკანდიდატო ბარათი № 1975388, გაცემული ვარლამ ლევანის-ძე **გრიგოლიას** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

# დღეს თეატრებსა და კინოებში

**თეატრებში:** მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი — „წითელქუდა" (1 აბ.), **სანკულტურის ქართული თეატრი** — „ბრმა მუსიკოსი", **გრიბოედოვის სახელობის** — „ერნანი" (აბ. გარეშე), **სომხური დრამა** — „გაპარტახებული კერა".

**კინოებში:** **რუსთაველის სახ.** — „გრუნია კორნაკოვა", **დღისით** — „მეგობრები ბანაკიდან", **ოქტომბერი** — „უმზითვო პატარძალი", **დამკვრელი** — „ჩაპაევი", **დღისით** — „ჩაპაევი", **კომკავშირელი**—„ტრაქტორისტები", **სპარტაკი** — „პატიმარნი", **ლუქსემბურგის სახ.** — „მიტკა ლელიუკი", **26 კომ. სახ.** — „უკანასკნელი ჯვაროსნები", **კომინტერნი** — „დიდი ვალსი", **განთიადი** — „პარტიული ბილეთი", **წითელი არმიის სახლი** — „მეთაურთა ახალგაზრდობა", **ვოროშილოვის სახელობის კლუბი** — „უკანასკნელი მასკარადი", **ნავთლუღის რკინიგზის კლუბი** — „სევანელი მეთევზეები", **ახალი ამბები** — „ფეხბურთელები".

პასუხისმგებელი რედაქტორი
**ვ. ხატიაშვილი**

---

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

19 ოქტომბერს პრემიერა აბ. გარეშე
**კაკო ყაჩაღი**

20 ოქტომბერს აბ. გარეშე
**კაკო ყაჩაღი**

22 ოქტომბერს მე-5 აბ. 1 წარმ.
**ტრავიატა**

დასაწყისი 8 ს. 30 წ.

---

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1940-41 წ. წ. სეზონი

19 ოქტომბერს
**ბოგდან ხმელნიცკი**

20 ოქტომბერს
**გიორგი სააკაძე**

დასაწყისი 8 ს. 30 წ.
20 ოქტომბერს დღის წარმოდგენა
**გიორგი სააკაძე**
დასაწყისი დღის 12 ს.

---

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი
1940-41 წ. წ. სეზონი.

| 19 ოქტომბერს | 20 ოქტომბერს | 22 ოქტომბერს |
|---|---|---|
| **კოლმეურნის ქორწინება** | **მადამ სან-ჟენ** | **გიორგი სააკაძე** |

დასაწყისი 8 ს. 30 წ.
20 ოქტომბერს დღის წარმოდგენა **გიორგი სააკაძე.** დასაწყისი დღის 12 ს,

---

საქ. ზოოვეტინსტიტუტი აცხადებს,
რომ ზოოტექნიკური და სავეტერინარო ფაკულტეტების წინა წლებში კურსმოსმენილთათვის განმეორებითი
**სახელმწიფო გამოცდების სესია**
დანიშნულია ა. წ. 1/XII-დან 31/XII-მდე.
85 ზოოვეტინსტიტუტის დირექტორი დოც. **ნ. მესხი.**

---

საქ. ჯ. ს. ქ. კურორტთა მთავარი სამმართველო
აცხადებს. რომ
შეუდგა ხელშეკრულების დადებას პროფესიულ ორგანიზაციებთან და დაწესებულება-წარმოებებთან 1941 წლის საგზურების გასაცემად შემდეგ კურორტებზე:
**ბორჯომი, წყალტუბო, აბასთუმანი, შოვი, მენჯი, ახტალა და საბავშო სანატ. პატარა ცემი (7-10 წ.), წაღვერი (11-14 წ.).**
განაცხადები მიიღება ა. წ. 15/XI მდე.
**განაცხადები მიიღება კურბიუროში:**
თბილისი, ბერიას მოედანი № 10.
434 საქ. ჯ. ს. ქ. კურორტთა მთავარი სამმართველო.

---

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს.
რომ ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე დისერტაციას დაიცავენ:

ა. წ. 5 ნოემბერს სად. 8 საათზე, აუდ. № 86 (უნივერსიტეტის მთავარი შენობა, მარის ქ. № 1)

1. მ. ა. კვესელავა—ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე—**„თქმულება დოქტორ ფაუსტის შესახებ და მისი განვითარება ინგლისის XVI საუკუნის ლიტერატურაში".**

ოფიციალური ოპონენტები: დოც. კ. კაპანელი, დოც. მ. მენაბდე.

ა. წ. 14 ნოემბერს, სად. 8 საათზე, აუდ. № 86,

2. გ. ი. იმედაშვილი—ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე—**„ვისრამიანისა და ტრისტან და იზოლდას ურთიერთობისათვის".**

ოფიციალური ოპონენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. კ. კეკელიძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. ალ. ბარამიძე.

სადისერტაციო შრომების გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

100 თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი **დ. უიფშიძე**

ლიდა თოდუა ქმარშვილით იუწყება, რომ 20/X ძველ აბასთუმანში დანიშნულია დედის
**ნატალია კვარაცხელიას**
სამოქ. პანაშვიდი. 8425

შვილები შურა, ნინო, დები სოფიო ჩიქვაიძე, ნინო პლიშევსკი, თამარ ბაგრატიონი, ელენე ფალავა ოჯახებით, მარიამ ჩხეიძე იუწყებიან, რომ 20/X 12 ს. ვერის სასაფლაოზე დანიშნულია
**ეკატერინე ქლენტის**
პანაშვიდი. 8429

შვილები ქეთო, მარგალიტა, გრიშა, კოლა, ტუტუშა, სიძე ელეფთერი, რძლები ელენა, შურა, შვილიშვილებით იუწყებიან
**ივანე ბეჟუკის-ძე წულაძის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფელ ჭანჭათში 20 ოქტომბერს.

გემოკვების კავშირის პრეზიდიუმი იუწყება ამავე კავშირის სისტემის ქუთაისის არტელ „პურისცხობის" გამგეობის თავმჯდომარის ილია ტაბიძის მეუღლის
**ნინო ირაკლის-ასულ ტაბიძის**
გარდაცვალებას. 8403

ცოლი ეკატერინე, შვილი ნადია, სიძე პავლე დუგლაძე; შვილიშვილი დოდიკო იუწყებიან საყვარელ
**ექვთიმე დიმიტრის-ძე ჩიქვაიძის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 20/X ქ. ხაშურში.

მშობლები გაბრიელ, ელისაბედ, ძმები ვანო, პეტა, რძლები ქეთო, ლენა იუწყებიან
**ოლია (ოლა) სარაულის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 19/X 7 ს. შრომის, 10. დაკრძალვა 20/X 3 ს. კუკიის სასაფლაოზე. 8419

მეუღლე ოლღა, შვილები ბაბიკო, მარგარიტა, სონია, სიძეები გიორგი თურმანიძე, რუბენ ხაბალაშვილი, ამბროსი ესიავა იუწყებიან
**გიორგი იმერლიშვილის**
გარდაცვალებას. გამოსვენება 20/X 3 ს. კალანდაძის, 32. 100

საქ. „ლუდისა და ლიმონათის" ტრესტის თანამშრომლები ანდრო ფაშიაშვილი, ალექსანდრე ყაზაზიშვილი, ი. გოგოლაძე, ა. გალუსტოვი, ნ. მირველიშვილი იუწყებიან გიორგი გოჩაშვილის მამის
**ალექსანდრე გოჩაშვილის**
გარდაცვალებას. 8428

მშობლები ტასო, ვიქტორ, დები დუსიკო, ვენერა, თამარ, ბებია ოლია, ბაბუა დავით იუწყებიან, რომ 20/X 4 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია პატარა
**ჟორჟიკა ნიბიერიძის**
პანაშვიდი. 8434

მეუღლე ნინო იუწყება
**ბარნაბ გიორგის-ძე კაკაურიძის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 19/X 7 ს. ტექნიკური, 2. გამოსვენება 20/X 5 ს. კუკიის სასაფლაოზე. 8436

მშობლები მარო, ალექსი, და ლეილა, დიდედა სონა, პაპა ანტონ, ბიძა, მამიდები, სიძეები იუწყებიან პატარა
**რეზიკო ნადირაძის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი. 19/X 7 ს. გამოსვენება 20/X 3 ს. მონტინის, 17. 8435

დედა აღათი, მეუღლე ნადია, შვილები თინა, ლილი გოგეშვილები იუწყებიან, რომ 20/X 1 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია
**არსენ ლევანის-ძე გოგეშვილის**
პანაშვიდი. 8420

მშობლები მარიამ, მიხეილ, და ვერა, მამიდაშვილები ვლადიმერ, გაბო იუწყებიან, რომ 20/X 3 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია
**ალექსანდრე (ალე) მიხეილის-ძე გოქაძის**
პანაშვიდი. 8422

ვასასი, ოლია, კოლია, ცუცა, ჯონდო, დემნა, გოგი ჭანტურიები, ძუბა, ნოდარ იოსელიანები, ქ. მუსერიძე იუწყებიან, რომ 20/X ცხაკაიაში დანიშნულია
**გიორგი ჭანტურიას და დათიკო იოსელიანის**
პანაშვიდი. 8423

მშობლები ალექსანდრე კაკულია, საშა სტაჟაძე იუწყებიან, რომ 20/X 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია პატარა
**გოგი კაკულიას**
პანაშვიდი. 8424

ქმარი საშა, შვილები ზინიკო, ცაციკო, დისწულები მიშა, მარო, დეიდაშვილი ოლია ამბროზაშვილი ქმარშვილით იუწყებიან
**ოლია სარაულის**
გარდაცვალებას. გამოსვენება 20/X 3 ს. პანაშვიდი 19/X 7 ს. შრომის, 10. 8430

საქ. მიწსახკომის თანამშრომლები ნ. ავალიშვილი, ს. ეფრემიძე, ი. ჭურღიანი, დ. რცხილაძე, გ. ბილანიშვილი, ა. რატიშვილი, ე. ჭიჭირაძე, გ. კლიმიაშვილი, ვ. ჭიჭინაძე, ა. ოსეფაშვილი, გ. ბახტაძე, მ. კვინიხიძე, მ. ყუფარაძე იუწყებიან ე. ანდრონიკაშვილის მამის
**იოსებ ანდრონიკაშვილის**
გარდაცვალებას. 8413

სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიური ფაკულტეტის უხერხემლოთა ზოოლოგიისა და გენეტიკის კათედრის თანამშრომლები იუწყებიან დეკანის პარმენ ხელაძის მამის
**სილიბისტრო ხელაძის**
გარდაცვალებას. 8414

აღმზრდელი ბიძა რაჟდენ, ბიცოლა ოლია დვალიშვილები შვილებით შოთათი, კუკურით, აბელით, ნათელათი იუწყებიან
**მურმან დვალიშვილის**
გარდაცვალებას. გამოსვენება 20/X 4 ს. ბარნოვის, 104 (ვაკე). 8415

სტალინის რაისაბჭოს საბინაო სამმართველოს თანამშრომლები იუწყებიან გ. გოჩაშვილის მამის
**ალექსანდრე გოჩაშვილის**
გარდაცვალებას. 8416

შვილი მიშა, რძალი ნუცა, შვილიშვილები მურთაზ, აზინარი კვარაცხელიები იუწყებიან, რომ 20/X აბასთუმანში (ზუგდიდის რ.) დანიშნულია
**ნატალია ოქროპირის-ასულ კვარაცხელიას**
პანაშვიდი. 8417

მშობლები მელიტონ, ეკა, ძმა შალიკო კობერიძეები იუწყებიან, რომ 20/X 1 ს. პეტრე-პავლეს სასაფლაოზე დანიშნულია
**ვალიკო მელიტონის-ძე კობერიძის**
პანაშვიდი. 8418

ვალია და ბუხუტი კაჭახიძეები იუწყებიან მეგობრის
**რაისა ალექსის-ასულ ჯღარკავა-ცოტაძის**
გარდაცვალებას. 8432

საქ. ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ დავით ეპიტაშვილს
**ბარნაბ კაკაურიძის**
გარდაცვალების გამო. 8433

შვილი აგნესა, შვილიშვილები თენგიზ, რემი სისორდიები იუწყებიან
**ივდითი ლუკას-ასულ კალანდარიშვილის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 19/X 7 ს. წილკანის, 3. დაკრძალვა 20/X 2 ს. ვაკის სასაფლაოზე. 8408

დები: იულია ბაგრატიონი შვილით, ბარბალე ჭელიძე ქმარშვილით. რძალი ეფნია კანდელაკი. დისშვილი არჩილ ჯაფარიძე მეუღლით იუწყებიან
**ივდითი ლუკას-ასულ კალანდარიშვილის**
გარდაცვალებას.

გემოკვების კავშირის თანამშრომლები, ამხანაგები ლეკიშვილი, ფალავა, გურგენიძე, მახარაძე, ბოკუჩავა, თელია, მგალობლიშვილი, ჩხიკვიშვილი, კოპალეიშვილი, ბეჟანიშვილი, მეგრელიძე იუწყებიან დ. დგებუაძის დედის
**ფეოდოსის**
გარდაცვალებას. 8406

ძმა, კასიანე გაჩეჩილაძე ცოლით ლეონინათი, შვილებით, რძლებით და სიძეებით იუწყება
**ლევი ეფრემის-ძე გაჩეჩილაძის**
გარდაცვალებას. 8427

ბიძები: დორეთი, იპოლიტე შვილებით: კოლია, ტერენტი, ილია კაკაურიძეები ცოლშვილით, მანია და სონა ჯუღელები შვილებით იუწყებიან
**ბარნაბ გიორგის-ძე კაკაურიძის**
გარდაცვალებას. 50

შვილი გოგუცა, სიძეები ისაკი ჩიქოვანი და ვანო ჟორდანია, მამანტი კაჭარავა, კარლო მამალაძე იუწყებიან
**ფეოდოსი დგებუაძის**
გარდაცვალებას. 8404

გემოკვების კავშირის თანამშრომლები ჭანჭალეიშვილი, გიგინეიშვილი, ჯალიაშვილი, ივანიშვილი, საყვარელიძე, ქოჩლაძე, ხმიადაშვილი, შენგელია, ქარცივაძე, სირაძე, ხიზველი, ცაგურია, მასალკინი იუწყებიან დ. დგებუაძის დედის
**ფეოდოსის**
გარდაცვალებას. 8407

ლუარსაბ და დომნა ბალავაძეები, შვილები ნადია, ელიჩკა, კაკურა და მიშა იუწყებიან
**რაისა ჯღარკავა-ცოტაძის**
გარდაცვალებას. 8437

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67; პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88; განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის 3—81—84 სასოფლო-სამეურნეოს 3—73—40. ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის—3—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის და გამომშვების 3—81—65, გამომცემლობის 3 51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

შე 1998